ალმა მატერ

უნივერსიტეტი

14 ოქტომბერი, 2022

პარასკევი, №1 (2240)

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აკადემიურ საბჭოს გადადგომის თაობაზე მიმართა

„ვრჩები უნივერსიტეტის პროფესორად და დიდ გულშემატკივრად“, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიურ საბჭოს გადადგომის თაობაზე 7 ოქტომბერს მიმართა. გიორგი შარვაშიძემ თავისი გადაწყვეტილება საჯაროდ სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა.

„ჩემთვის დიდი პატივია ბრწყინვალების ორდენის მიღება, რომელიც საქართველოს მთავრობის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტმა მომანიჭა. მიხარია და ვამაყობ, რადგან ეს არ არის პერსონალური ჯილდო, ეს ჯილდო ეკუთვნის ჩვენს პროფესორებს, ჩვენს სტუდენტებს, ჩვენს მეცნიერებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო 7 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა: ჩვენ შევძელით და დღეს თსუ-ს აქვს ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (AUA) ინსტიტუციური შეფასება; მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა და შედეგად თსუ რეგიონში კვლავ ყველაზე დიდი უნივერსიტეტია. 50%-ით გავზარდეთ უნივერსიტეტის დაფინანსებაც მაშინ, როცა არ შეცვლილა უნივერსიტეტების დაფინანსების წესი; პირველად ჩვენს რეგიონში სწორედ, საქართველოში და კონკრეტულად თსუ-ში გაიხსნა ევროპის აკადემიის (AE) და EPLO-ს რეგიონული ცენტრები; საქართველო გახდა მესამე ქვეყანა ევროპაში და 24-ე მსოფლიოში, რომელსაც ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების სრული წარმომადგენლობა აქვს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკეთესო უნივერსიტეტების 1.5 %-ში შედის და არაერთ პროგრამას აქვს გავლილი საერთაშორისო აკრედიტაცია (ABET, FIBAA); მზარდია უცხოენოვანი, ერთობლივი და ორმაგი ხარისხის მქონე პროგრამების რაოდენობა; შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება; შთამბეჭდავია ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა — დაწყებული მეორე კორპუსის აღდგენით, დამთავრებული უამრავი სხვა სამეცნიერო თუ სასწავლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციით. მე ვარ ძალიან ამაყი, რომ ეს ყველაფერი ჩვენ ერთად შევძელით. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა უნივერსიტეტის პროფესურას, ადმინისტრაციას, სტუდენტებს და ჩვენი უნივერსიტეტის ყველა გულშემატკივარს. ჩვენ სწორედ ერთად მოვახერხეთ ამ წარმატებული ნაბიჯების გადადგმა, თუმცა კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და გასაუმჯობესებელი.



დღეს მივმართე აკადემიურ საბჭოს რექტორის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე. გადაწყვეტილება დიდი ხნით ადრე მივიღე, რის შესახებაც საუნივერსიტეტო საზოგადოება ინფორმირებული იყო. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ საბჭოს ვაცნობე მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ ჩვენი უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასების შედეგი და სხვა მნიშვნელოვანი სიახლეები.

მე ღრმად მწამს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი განვითარების იმ ევროპულ გზაზე სვლას, რა გზასაც დღეს ადგას, კვლავ ღირსეულად გააგრძელებს.

დაბოლოს, მიხარია, რომ ვარ 300 000 კურსდამთავრებულს შორის ერთ-ერთი და რომ მრავალი წელი ვხელმძღვანელობდი რეგიონში პირველ უნივერსიტეტს. ერთხელ უნივერსიტეტელი მუდამ უნივერსიტეტელია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მომავალი საქმიანობა უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებს, ვრჩები უნივერსიტეტის პროფესორად და დიდ გულშემატკივრად“, — წერს რექტორი გიორგი შარვაშიძე სოციალურ ქსელში.

თსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს 20 ოქტომბერს აირჩევს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის დღედ 20 ოქტომბერი გამოცხადდა. თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილების თანახმად, კანდიდატებს განაცხადების წარდგენა 10 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით შეეძლებათ. აკადემიური საბჭო საკონკურსო განცხადებებს 19 ოქტომბრამდე განიხილავს. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩევა რექტორის არჩევის აქტის ძალაში შესვლის დღემდე, მაგრამ არაუმეტეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევიდან 6 თვისა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ დადგენილება 10 ოქტომბერს მიიღო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედ რექტორს უფლებამოსილება 15 ოქტომბრიდან შეუწყდება. გიორგი შარვაშიძემ თსუ-ის აკადემიურ საბჭოს გადადგომის თხოვნით 7 ოქტომბერს მიმართა.



> მე ღრმად მწამს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი განვითარების იმ ევროპულ გზაზე სვლას, რა გზასაც დღეს ადგას, კვლავ ღირსეულად გააგრძელებს.

ნომერში

- სტუდენტთა ჯგუფებთან პრობლემებზე კონსულტაციები და ერთობლივი მუშაობა გრძელდება — გვ. 2
- 2023 წლისთვის თსუ-ის სტუდენტებისთვის საუკეთესო ელექტრონული პლატფორმა ამუშავდება — გვ. 2

- საუნივერსიტეტო ქრონიკა და ანონსი — გვ. 3-4
- რა სიახლეებით შეხვდნენ ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს? — გვ. 5-6/14
- ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად თსუ-ში მუშაობა დაიწყო — გვ. 13

- საქართველოს პრეზიდენტმა თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა — გვ. 2

- სტუდენტური ფურცელი — გვ. 7-10

- პრეზიდენტის ინიციატივები – გაცხადებული ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ამსახველ გამოფენაზე — გვ. 14
- ახალი საგანი – ინოვაციური ეკონომიკა — გვ. 13

- 85 წელი მათემატიკის სამსახურში — გვ. 15

საქართველოს პრეზიდენტმა თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

თსუ-ის რექტორს პრეზიდენტის ჯილდო ევროკავშირის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისათვის, გამორჩეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი კავშირის გაღრმავებისა და ქართულ და უცხოელ მეცნიერთა შორის სამეცნიერო ურთიერთობის ხელშეწყობისათვის, ქართული კულტურის ინტერდისციპლინარული კვლევების მხარდაჭერით საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონია ორბელიანების სასახლეში გაიმართა. ბრწყინვალების ორდენით ასევე დაჯილდოვდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. ჯილდო პრეზიდენტმა მის შვილს გადასცა. ღირსების მედალი კი გადაეცათ თსუ-ის ასოცირებულ პროფესორს, შუმეროლოგ ნინო სამსონიას, თსუ-ის პროფესორს, საერთაშორისო რანგის ხეთოლოგ ირინე ტატიშვილს და ფილოსოფიის დოქტორ თამარა დრაგაძეს.

დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია 6 ოქტომბერს ორბელიანების სასახლეში გაიმართა.

> ბრწყინვალების ორდენით ასევე დაჯილდოვდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

2023 წლისთვის თსუ-ის სტუდენტებისთვის საუკეთესო ელექტრონული პლატფორმა ამუშავდება

ნინო კაკულია

აკადემიური რეგისტრაციის პროცესისთვის დამახასიათებელი პრობლემები მალე წარსულს ჩაბარდება. თსუ-ის ადმინისტრაცია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის მართვის საუკეთესო ტიპის ელექტრონული სისტემის შექმნას აანონსებს. როგორც თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა საღინაძე ამბობს, უნივერსიტეტმა მიიღო

> „ახალი ელექტრონული სისტემის გამართვის პროცესი უკვე დასკვნით ფაზაშია.

გადაწყვეტილება, რომ სასწავლო პროცესის უხარვეზოდ წარმართვისთვის ახალი ელექტრონული სისტემა შეიძინოს.

„ახალი ელექტრონული სისტემის გამართვის პროცესი უკვე დასკვნით ფაზაშია. საბაზისო პროგრამა უკვე გვაქვს. ოქტომბრის თვიდან ფაკულტეტების ჩართულობით დაიწყება აღნიშნული სისტემის გაჯანსაღებაზე/სრულყოფაზე მუშაობა და 2023 წლის სექტემბრისთვის აკადემიური რეგისტრაციები უკვე ახალი სისტემით განხორციელდება და ის ჩაანაცვლებს არსებულ სისტემას (Lms.tsu.ge). თუ ახალი ბაზის მომზადების პროცესში შეფერხება არ გვექნება, შეიძლება ახალმა პლატფორმამ ფუნქციონირება 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდანაც დაიწყოს. ეს იქნება თანამედროვე ტიპის ელექტრონული მართვის სისტემა და ვფიქრობ, სტუდენტებისთვის საქართველოში საუკეთესო ტიპის პორტალი გვექნება“, — აღნიშნა ლაშა საღინაძემ.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა მრავალი წელია მოქმედებს. პირვანდელი SMS.tsu.ge შედარებით განახლებულმა სისტემამ — LMS.tsu.ge-მ შეცვალა.

„თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ეს სისტემები ძველდება. LMS.tsu.ge-საც არაერთი ხარვეზი ჰქონდა, რაც, ასე თუ ისე, რაღაც ეტაპზე გვარდებოდა, თუმცა, სისტემური პრობლემები პრობლემად რჩებოდა. დიდ იმედს სწორედ სასწავლო პროცესის მართვის ახალ ელექტრონულ სისტემაზე ვამყარებთ“, — ამბობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სტუდენტთა ჯგუფებთან პრობლემებზე კონსულტაციები და ერთობლივი მუშაობა გრძელდება

სტუდენტურ ჯგუფებთან, რომლებიც ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას რიგი საკითხების მოგვარებისკენ მოუწოდებდნენ, მოლაპარაკების ფორმატში საუბრები დღემდე გრძელდება.

„სტუდენტთა ჯგუფთან ბოლოს აგვისტოს თვეში გქვონდა კომუნიკაცია. მანამდე ფინანსური გამჭვირვალობის საკითხზე ყველა დეტალი გავიარეთ და რადგან დამატებითი კითხვები აღარ გაჩნდა, ეს საკითხი ამოვწურეთ, შევთანხმდით, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მუშაობის პროცესში, სურვილის შემთხვევაში, ისინიც ჩაერთვებოდნენ. რექტორის არჩევის წესთან დაკავშირებით სტუდენტებმა გვითხრეს, რომ სტუდენტებში სურდათ გამოკითხვის ჩატარება და გვთხოვეს ჩვენი რესურსით დახმარება, რაზეც თანხმობა გამოვთქვით. რაც შეეხება ახალ სტუდენტურ საცხოვრებელს, ჩვენი რესურსით, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე შეგვიძლია, არის ის, რომ ბაგების საერთო საცხოვრებელში სამზარეულო სივრცეებს ვქმნით და სველ წერტილებს ვარემონტებთ. ეს პროცესი ამჟამად მიმდინარეობს. სატენდერო პროცედურების გამო სარემონტო სამუშაოები დროში ცოტა გაიწელა, თუმცა, ვფიქრობ, მალე დასრულდება.

როგორც აგვისტოს თვეში სამხარაულის ეროვნული ბიუროს მხრიდან დამატებით ჩატარებულმა დასკვნამ ცხადყო, ბაგების საერთო საცხოვრებლის სრული რეაბილიტაცია არარენტაბელურია, ის დაჯდება გაცილებით ძვირი, ვიდრე მისი, პირობითად, დანგრევა და ახლიდან აშენება. შესაბამისად, მისი სრული რეაბილიტაციისთვის ფინანსების გამოყოფა სამხარაულის ეროვნულმა ბიურომ არ გვირჩია და მეორეც — ამის ფინანსური საშუალება უნივერსიტეტს, სამწუხაროდ, არ აქვს. შესაბამისად, ეტაპობრივად მივყვებით ამ გზას და თუკი ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის საკითხი დადებითად გადაწყდება, ეს ყველასთვის კარგი იქნება. ახლანდელი დაფინანსების პირობებში უნივერსიტეტს მეტის გაკეთება არ შეუძლია. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, არის ის, რომ ინვესტორის დაფინანსებით ან უნივერსიტეტის კონკრეტული ქონების ჩანაცვლების გზით განვახორციელოთ ეს პროცესი სახელმწიფოსთან შეთანხმებით. მოლაპარაკება, როგორც შესაბამის უწყებებთან, ისე დაინტერესებულ პირებთან მიმდინარეობს და ვფიქრობ, რომ ამ წლის განმავლობაში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს — თუ რა გზით განხორციელდება ახალი საერთო საცხოვრებლის მოწყობა. ეს პრობლემა, ბუნებრივია, მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ აწუხებს. მიმდინარე წელს სწავლა დაიწყო ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბინის ქირის გაძვირება ყველას შეეხო და სტუდენტების სასარგებლოდ საერთო საცხოვრებლის საკითხის მოგვარება, ალბათ, ყველას გვმართებს“, — აღნიშნა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ ჩვენთან საუბრისას.

ცნობისთვის: ახალი სასწავლო წლიდან გამოცხადებული რეგისტრაციის საფუძველზე ლისის საერთო საცხოვრებელში თავისუფალი ადგილი აღარ არის დარჩენილი და ის სრულად ათვისებულია.

> სტუდენტების სასარგებლოდ საერთო საცხოვრებლის საკითხის მოგვარება, ალბათ, ყველას გვმართებს

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ

14 -16 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოკუპაციური თერაპიის უმაღლესი განათლების ევროპული ქსელის (ENOTHE) ყოველწლიურ კონფერენციას უმასპინძლებს. საქართველოს სხვადასხვა ქვეყნის ოკუპაციური თერაპევტები, მეცნიერები და სტუდენტები ეწვევიან: ჰოლანდიიდან, ბელგიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან, ესპანეთიდან, ლიეტუვიდან, შეერთებული შტატებიდან და სხვა. ჩამომსვლელ სტუმრებს შორისაა ოკუპაციური თერაპიის მსოფლიო ფედერაციის (WFOT) პრეზიდენტიც. სტუმრებს მიესალმება განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე.

საქართველოს კომუნიკაციების კომისია ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტების გადამოწმების, ანალიზისა და შეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის ატარებს მედიაწიგნიერების კონკურსს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის. კონკურსის ფარგლებში, სტუდენტებმა ინდივიდუალურად უნდა შეასრულონ შემდეგი დავალება: აღმოაჩინონ მედიასივრცეში (ინტერნეტი, ტელევიზია, ბეჭდური მედია, სხვ.) გავრცელებული ყალბი ინფორმაცია (რომელიც ჯერ არ ყოფილა დადასტურებული, როგორც ყალბი), წარმოადგინონ აღმოჩენის გზა, შესაბამისი წყარო, შესაძლო მოტივები და პარალელურად, დაადგინონ რეალური ფაქტები, ამბავი. პირველი ადგილის მფლობელი საჩუქრად iPhone 14-ს მიიღებს, მეორე ადგილის მფლობელი — HP Laptop, ხოლო მესამე ადგილზე გასულ სტუდენტს — iPad გადაეცემა.

25 ოქტომბერს, 16.00 საათზე, სახელმძღვანელოების — „ფინანსური აღრიცხვა“ და „სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული ფინანსურ აღრიცხვაში“ პრეზენტაცია გაიმართება. წიგნი მომზადებულია საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კურსისათვის „ფინანსური აღრიცხვა“. სახელმძღვანელოები მომზადებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის მიერ პროფესორ ლევან საბაურის რედაქტორობით.

2022 წელი ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის (1887-1987) 135 წლის იუბილეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, თსუ-ის ბიბლიოთეკა მართავს აკაკი შანიძის სახელობის ქართველოლოგიურ სამეცნიერო კითხვანს. კითხვანში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების მკვლევარები, თანამშრომლები და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები. კითხვანის მომხსენებელთა შერჩევა მოხდება თეზისების წარმოდგენის შედეგად. 2022 წლის 10 ნოემბრამდე მონაწილეებმა ელექტრონულ მისამართზე — library@tsu.ge — უნდა გადმოაგზავნონ კითხვანის მოხსენების თეზისები (არაუმეტეს 400 სიტყვისა). თეზისების შერჩევის შემდეგ მონაწილეებმა, არაუგვიანეს 20 ნოემბრისა, ამავე მისამართზე უნდა გადმოაგზავნონ საბოლოო ნაშრომები.კითხვანის გამართვის თარიღია — 2022 წლის 30 ნოემბერი.

კონკურსში „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში 2022“ მონაწილეობისთვის განაცხადების მიღება დაიწყო. წელს კონკურსს ახალი კატეგორია დაემატა: საუკეთესო სტუდენტური ნაშრომი ბეჭდურ, სამაუწყებლო ან ონლაინ მედიაში. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტს, რომლის ნამუშევარი გამოქვეყნებულია ქართულ ბეჭდურ, ონლაინ ან სამაუწყებლო მედიასივრცეში 2021 წლის 30 ნოემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით. საკონკურსო ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადაა 2022 წლის 1 ნოემბერი, 18:00 საათი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: Tamriko.Mikadze@eeas.europa.eu; nino@iwpr.net

ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲨᲘ ᲡᲐᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲝ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲓᲐᲜ 31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ: 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ — 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ (ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ); 13 –18 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ (ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ); ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1 — 8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ — 5 ᲛᲐᲠᲢᲘ....

ინსულტის დარგში მოღვაწე მსოფლიოს გამოჩენილი მკვლევრები და პრაქტიკოსები დასავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, ისრაელიდან, საქართველოსა და სამეზობელო ქვეყნებიდან მონაწილეობდნენ მე-8 რეგიონულ კონფერენციაში — „თბილისი 2022: ინსულტის პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. კონფერენცია ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის (World Stroke Organization, WSO) ეგიდით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ინსულტის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა. მსგავსი მიმართულების კონფერენციის საქართველოში გამართვის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა. მისი თქმით, „საერთაშორისო კონფერენცია ცნობილი მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისთვის საუკეთესო შესაძლებლობაა ურთიერთობის გაფართოების, თანამშრომლობის, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, ჰორიზონტი ევროპის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში ახალი კონსორციუმების ჩამოყალიბების და სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში კიდევ ერთი წარმატებისთვის.“ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამეტის ხელმძღვანელის, პროფესორ ალექსანდრე ცისკარიძის თქმით, ინსულტის საერთაშორისო კონფერენციების რუკაზე თბილისი 2000 წელს გამოჩნდა და მას შემდეგ იგი ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და პრესტიჟულ კონფერენციად ითვლება ინსულტის სპეციალისტებისა და ნევროლოგების საზოგადოებაში.

ორი მეგობარი ქვეყნის — საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობებზე ისაუბრეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლონეთი — საქართველო. ორსაუკუნოვანი დიალოგი“. „დღევანდელი ღონისძიება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართება, არის მაგალითი ჩვენი ქვეყნების, პოლონეთსა და საქართველოს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის. მოხარული ვარ, რომ დღეს გავიხსენებთ მე-19 საუკუნის, მე-20 საუკუნის გმირებს და საზოგადოებას შევახსენებთ, როგორი მტკიცე ურთიერთობა გვაქვს ქართველებსა და პოლონელებს, მიუხედავად სახელმწიფოებს შორის დიდი დისტანციისა“, — განაცხადა პოლონეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩმა. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლონისტიკის ცენტრის ხელმძღვანელის, თსუ-ის პროფესორის მარია ფილინას განცხადებით, 25 წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა პირველი პოლონური საზოგადოებრივი ორგანიზაცია კავკასიაში — „პოლონია“. „მას მერე, ჩვენ ვატარებთ კონფერენციებს, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციებს ქართულ-პოლონურ ურთიერთობებზე. დღეს ჩვენ მივიღეთ პოლონეთის სენატიდან და სეიმიდან მისალმებები, სადაც წერია, რომ ყოველი ჩვენი ღონისძიება არის ქართულ-პოლონური ურთიერთობების დარგში წინსვლა“, — აღნიშნა მარია ფილინამ.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხები განიხილეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოქმედმა და ყოფილმა მოსამართლეებმა, პრაქტიკოსმა იურისტებმა, მეცნიერებმა და მკვლევრებმა მსოფლიოს 13 ქვეყნიდან საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც, საქართველოში პირველად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 29 სექტემბერს გაიხსნა. კონფერენცია მიეძღვნა საერთაშორისო სამართლის სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოსის, პროფესორ ლევან ალექსიძის ხსოვნას. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ხელმძღვანელის ირინე ქურდაძის თქმით, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა მთელი მსოფლიოდან ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება — რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ასეთ არასტაბილურ მსოფლიოში, პრობლემების გადაწყვეტის კონტექსტში, სამართლებრივი გზები შესთავაზონ საზოგადოებას.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი როცა დაარსდა, დაახლოებით 105 წლის წინ, პირველი განკარგულება სწორედ ივანე ჯავახიშვილმა გასცა. ეს იყო აფხაზური ცენტრის დაარსება, რომელიც აფხაზური და შემდეგ ოსური ენების შესწავლაზე იზრუნებდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ იყო მაშინ მხოლოდ უნივერსიტეტი. ეს იყო მაშინ ერთადერთი ევროპული ინსტიტუცია, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში. ჩვენ დღესაც ვალდებული ვართ — ვიზრუნოთ აფხაზეთზე, აფხაზ ერზე“, — ეს განცხადება თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ორბელიანების სასახლეში საქართველოს პრეზიდენტთან სალომე ზურაბიშვილთან 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე გააკეთა. გიორგი შარვაშიძის თქმით, გარდა იმისა, რომ თსუ-ში მეცნიერები აქტიურად მუშაობენ აფხაზური ენისა და კულტურის მიმართულებით, აქტიურად მუშაობს თსუ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, აფხაზურ ენაზე ინტერნეტ-რადიო და სტუდენტური ტელევიზია.

ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვრის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების დაფინანსების მიზნით დამტკიცდა კანდიდატთა შერჩევისა და წარდგენის წესი. 10 სტუდენტისთვის სწავლის საფასურის დაფინანსების შესახებ ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ეფრემმა 21 სექტემბერს თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. უნივერსიტეტი დაფინანსების მიღების მიზნით სწავლის საფასურის დაფინანსების გამცემს წარუდგენს იმ კანდიდატთა მონაცემებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესში მითითებულ კრიტერიუმებს.

თსუ-ს ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი ესტუმრა

გვ. 4

^ მე-3 გვ-დან

ადამიანის ევოლუციის შესასწავლად ორი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის — ოლდუვაისა (ტანზანია) და დმანისის (საქართველო) კვლევის შედეგებს განიხილავდნენ, 20 სექტემბერს, საერთაშორისო კონფერენციაზე — „დმანისი-ოლდუვაი — ხიდი აფრიკასა და ევროპას შორის," რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი დავით ლორთქიფანიძე, ინდიანას (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორები და თსუ-ის საპატიო დოქტორები ქეით შიკი და ნიკოლას ტოტი, მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (საქართველო, ტანზანია, აშშ, გერმანია, იტალია, ესპანეთი), სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. „ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საამაყოა, რომ ოროზმანში მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებსა და უნიკალური არტეფაქტების აღმოჩენაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ ჩართული", — განაცხადა თსუ-ის რექტორმა. ოთხდღიანი კონფერენციის განმავლობაში ქართველი და უცხოელი მეცნიერები დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე ოროზმანის ძეგლს ეწვივნენ, სადაც 2022 წლის არქეოლოგიური სამუშაოების დროს ჰომინიდების გავრცელების ახალი კერა გამოვლინდა. ოლდუვაის შემდეგ დმანისი ერთ-ერთი ადგილია, სადაც ადრეული ჰომინიდების ნაშთები აღმოჩნდა, რომლებიც 1,8 მილიონი წლით თარიღდება. დმანისში, ამ ეტაპზე, ადამიანის ხუთი თავის ქალა და 100-მდე ჩონჩხის ძვალია აღმოჩენილი. დმანისში არქეოლოგიური კვლევების მხარდამჭერია შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. კვლევებში აქტიურად მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტები.

თსუ-სა და ესტონეთის Ida-Virumaa Kutsehariduskeskus-ს პროფესიული განათლების ცენტრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, პროფესიული განათლების მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობას გულისხმობს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და Ida-Virumaa Kutsehariduskeskus-ს ხელმძღვანელმა ჰანეს მეტსიმ მოაწერეს. საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში ასევე განხორციელდება ერთობლივი საერთაშორისო პროექტები, გაიმართება კონფერენციები და სემინარები.

ესტონეთის Ida-Virumaa Kutsehariduskeskus პროფესიული განათლების ცენტრი სამი ქალაქის („Sillamäe, Jõhvi, Narva-Jõesuu) პროფესიული განათლების სკოლებს აერთიანებს. იგი ესტონეთში ყველაზე დიდია სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რაოდენობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თსუ-ის ახალმა დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულმა „თსუ პროფესიული განათლების ცენტრმა" 2019 წლის ივნისიდან დაიწყო. ცენტრი 15 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ორ ლოკაციაზე — თბილისსა და ქუთაისში ახორციელებს. თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სახელმწიფოს მიერ 100%-ით არის დაფინანსებული.

თსუ-სა და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, თსუ-ის კანცლერმა ლაშა საღინაძემ და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" თავმჯდომარემ ნათია ჩირიკაშვილმა მოაწერეს. ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტის შენობაში განთავსდება საკანონმდებლო მაცნეს წიგნების თვითმომსახურების აპარატი, სადაც სტუდენტები, ასევე, ნორმატიული აქტების ბეჭდური ვერსიებით დაინტერესებული სხვა პირები შეძლებენ საკანონმდებლო მაცნეს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების ტექსტების შეძენას ხელმისაწვდომი პირობებით.

11-16 სექტემბერს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა ნუმიზმატთა XVI საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც პირველად ამ კონგრესების ისტორიაში ცალკე სექციად იყო წარმოდგენილი ქართული ნუმიზმატიკა. სექციას თავმჯდომარეობდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი თედო დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ კატალოგი http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge ფუნდამენტური ნაშრომია, რომელიც მოგვითხრობს საქართველოში მოჭრილ მონეტებზე და ქვეყნის ფულად მიმოქცევაში ჩართულ უცხოურ ნუმიზმატიკურ ძეგლებზე. კატალოგის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს მისი განთავსება ამერიკულ ელექტრონულ ჟურნალში http://ancientworldonline.blogspot.com/.../online-english.... 2021 წელს კატალოგის ბეჭდური ვერსია ათენში გამოიცა. ცხადია, როგორც კატალოგს, ასევე, ქართულ სამონეტო ემისიებს მეტი პოპულარიზაცია სჭირდება. 2022 წლის ვარშავის კონგრესზე ქართული ნუმიზმატიკის სექციის გახსნა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. კონგრესზე საინტერესო მოხსენებები წარადგინეს თედო დუნდუამ („სამონეტო საქმე საქართველოში. ზოგადი მიმოხილვა – ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგის პრეზენტაცია"), ნათია ფიფიამ („სამონეტო ტიპები საქართველოში და ბერძნულ-რომაული სამყარო"), ლერი თავაძემ („სამონეტო ტიპები საქართველოში და ბიზანტიური სამყარო") და ევგენი ჭანიშვილმა („ქართული ნუმიზმატიკის კატალოგის მიღმა – ახალი სამონეტო აღმოჩენები საქართველოში").

საერთაშორისო კონფერენცია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე

სხვადასხვა ამაჩქარებლებზე მიმდინარე ექსპერიმენტების ახალი შედეგების შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 41-ე საერთაშორისო სიმპოზიუმს — „ფიზიკა ურთიერთქმედებაში" (Physics in Collision) უმასპინძლა. როგორ გადაწყდა ამ სიმპოზიუმის ჩატარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში? როგორც გაირკვა, ქართულ-გერმანული ხიდის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა სამეცნიერო კონტაქტებმა ხელი შეუწყო „Physics in Collision" სიმპოზიუმის ჩატარებას საქართველოში. 5-9 სექტემბერს, სიმპოზიუმის ფარგლებში, მსოფლიოში ცნობილმა 30-მდე მეცნიერმა მაღალი ენერგიების ფიზიკის ექსპერიმენტების შედეგები წარმოადგინა და კოლეგებს სიახლეები გაუზიარა. სიმპოზიუმს დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად იგი 1981 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბლექსბურგში (Blacksburg) ჩატარდა და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება. გამონაკლისი იყო 2020 წელი, როცა, პანდემიის გამო, კონფერენცია გადაიდო. „გამოტოვებულ" კონფერენციას შარშან აახენის ტექნოლოგიურმა უნივერსიტეტმა (გერმანია) უმასპინძლა, წელს კი ეს პატივი საქართველოს, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ერგო. „მოხსენებები იმის მიხედვით ირჩევა, თუ რამდენად კარგადაა მასში მიმოხილული ექსპერიმენტების მიმდინარეობა და შედეგები. მოხსენებებს არჩევს მსოფლიოში ცნობილი 20-მდე მეცნიერი, რომლებსაც ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელიც უერთდება. ამდენად, წელს მეც მქონდა პატივი, შემესრულებინა ეს საკმაოდ საპასუხისმგებლო სამუშაო და ჩავრთულიყავი საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში", — გვითხრა კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა რევაზ შანიძემ.

რა სიახლეებით შეხვდნენ ფაკულტეტები ახალ სასწავლო წელს?

გვესაუბრება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
თამარ დოლბაია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ერთ-ერთი წარმატებული ფაკულტეტია, რასაც ადასტურებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიღწევები, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და ის მაჩვენებლები, რაც ყოველწლიურად ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად გვაქვს — აქ მოდიან წარმატებული და საზოგადოებრივად აქტიური ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ სწავლა განაგრძონ პოლიტიკის მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის, სოციოლოგიის და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით. ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს 7 საბაკალავრო, 16 სამაგისტრო და 13 სადოქტორო პროგრამას. ფაკულტეტის მრავალფეროვანი და ხარისხიანი აკადემიური პროგრამები განაპირობებს სტუდენტების კრიტიკულ აზროვნებასა და მათ კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

ფაკულტეტი წელსაც, ტრადიციულად, მზად დახვდა პირველკურსელებს. მოვამზადეთ „გზამკვლევი“, რომელშიც მოცემულია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც მათ გაუადვილებს მიმართულების არჩევას და, ზოგადად, სასწავლო პროცესში ჩართვას.

სტუდენტური თვითმმართველობა ყოველ წელს გვეხმარება პირველსემესტრელებთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაში. წელსაც ისინი შეხვდნენ პირველსემესტრელებს და თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს საგნების არჩევასთან თუ სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ამისთვის, ცხადია, სპეციალისტებიც გვყავს, თუმცა თანატოლისგან მიღებული ინფორმაცია მათთვის უფრო მნიშვნელოვანია.

ოქტომბრის დასაწყისში შედგება საუკეთესო პირველსემესტრელთა დაჯილდოება. ასევე იგეგმება შეხვედრები პირველკურსელებთან მიმართულებების მიხედვით.

სიახლეები პირველ რიგში ეხება ინფრასტრუქტურას. იმის გამო, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებული მეოთხე კორპუსი უკვე გამოუსადეგარი გახდა სასწავლო პროცესისთვის, შევარჩიეთ თსუ-ის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის შენობის ერთი ფლიგელი და სტუდენტთა ნაწილი — ძირითადად პირველსემესტრელები და მაგისტრატურის სტუდენტები გადავიყვანეთ. იქ ძალიან კარგი სასწავლო გარემო და ეზოა და სამომავლოდ, ვფიქრობ, საფაკულტეტო ღონისძიებების გასამართადაც გამოვიყენოთ.

რაც შეეხება აკადემიურ პროგრამებს — მოგეხსენებათ, რომ გასული წელი მთლიანად დაეთმო აკრედიტაციის სამზადისს. 2021 წლის სექტემბრიდან ივნისამდე პერიოდში ჩვენი ფაკულტეტის 19-მა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. ამდენად, გასული წელი მთლიანად დავუთმეთ პროგრამების დახვეწასა და მათ სტანდარტებთან მეტად მიახლოების საკითხებზე მუშაობას. ფაკულტეტის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა ძალისხმევა არ დაიშურა და შედეგად მივიღეთ ყველა პროგრამის აკრედიტაცია 7 წლით.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ფაკულტეტზე სამივე საფეხურის სტუდენტებს აქვთ ხელშეწყობა როგორც თეორიული და სამკვლევრო, ასევე, პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. გვაქვს სტაჟირების და სტუდენტური პრაქტიკის პროგრამები, ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, მჭიდრო კავშირები გვაქვს უცხოელ პარტნიორებთან. მაგალითისთვის მოვიყვან გის (გეოინფორმაციური სისტემების) ლაბორატორიას, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე გაიხსნა და დღესაც ტრენდულია. ამ ლაბორატორიას აქტიური კავშირები აქვს უცხოურ კვლევით ორგანიზაციებთან. ისინი ხშირად ჩამოდიან და ერთობლივად ვატარებთ ღონისძიებებს. მაგალითად, ახლახან, ივლისის თვეში ჩამოსულნი იყვნენ ავსტრიიდან ანალოგიური პროფილის ორგანიზაციის წარმომადგენლები... გეოინფორმაციული სისტემები, როგორც კვლევის მეთოდი, შემოვიტანეთ სასწავლო პროგრამაშიც და დოქტორანტები დაინტერესებულნი არიან. მომავალში მინდა უფრო შორს წავიდე და ეს საგანი საფაკულტეტო საგნადაც შემოვიტანოთ.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს პროფესურას სამკვლევრო საქმიანობაშიც. ამისთვის წინა წლებში საკმაოდ ბევრი აქტივობა განვახორციელეთ. ამის მაგალითია მიზნობრივი პროექტები, რომელშიც პირდაპირ ჩანს პროფესორის და სტუდენტის თანამშრომლობის შედეგი. ასევე ჩანს, თუ როგორ სწავლობს ოსტატისგან შეგირდი. ამით ჩვენ სტუდენტს კურიკულუმის ფარგლებში განსავითარებელი საკითხების შესწავლის საშუალებას ვაძლევთ — ანუ მიმდინარეობს კვლევა და ამ კვლევის შედეგად სასწავლო პროცესის განახლება-განვითარება. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა ეს პროექტი დავტოვეთ პრაქტიკაში. უკვე წლებია, ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში არაერთი საინტერესო კვლევა ტარდება, რომლებშიც სამივე საფეხურის სტუდენტები არიან ჩართულნი. ეს პროექტი ჩვენს პროფესურას მინიმალური სახელფასო სტანდარტის შესრულებაშიც ეხმარება და ის 50 ქულით ფასდება.

რამდენიმე წლის წინ, ასევე, ჩვენი ინიციატივით დაარსდა და შეიქმნა სტუდენტთა და პროფესორთა სამეცნიერო ჟურნალები. ამ ჟურნალებში გამოქვეყნებაც 50 ქულის შესაძლებლობას იძლევა. ამას ემატება საფაკულტეტო კონფერენცია, რომელიც ათი წლის წინ ჩემი ინიციატივით დაარსდა და მასში მონაწილეობაც 30 ქულით ფასდება. ამდენად, ფაკულტეტი 130 ქულას გარანტირებულად აძლევს პროფესორს და თუ ამას დავუმატებთ შესაძლებლობას, რომ ასევე ვაფინანსებთ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენგან აკადემიურ პერსონალს ხელშეწყობა ნამდვილად აქვს.

ბოლოს მინდა მივულოცო პირველსემესტრელებს, რომ ისინი რეგიონში პირველი უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. მინდა ვუსურვო წარმატებები და ქვეყნის განვითარებისთვის სასიკეთო პროცესებში ჩართვა. მომავალი ხომ მათია!

გვესაუბრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი
თამარ ზარანდია

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „consortium omnis vitae — მთელი ცხოვრების თანამეგობრობას“ სამართლისა და საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის 680 პირველკურსელი შემოუერთდა. იურიდიული ფაკულტეტი უკვე ასწლიან ისტორიას ითვლის და დღეს ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, აკადემიური ტრადიციების გათვალისწინებით, განათლების ბაზარზე მოთხოვნის, სწავლების ხარისხის, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა თუ სხვა მაჩვენებლით იგი უპირობო ლიდერია. ამასთან, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება თითოეული სტუდენტის გულმოდგინეობისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. თუმცა, მოხვედრა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე არის რთული, მაგრამ სწავლა — კიდევ უფრო რთული.

სასიხარულოა, რომ უკვე დასრულდა მეორე აკადემიური კორპუსის იურიდიული ფაკულტეტის ნაწილის რეაბილიტაცია, კორპუსი აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, მოიხსნა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მშობლიურ, მეორე აკადემიური კორპუსის სივრცეში გააგრძელონ სწავლა.

იურიდიული ფაკულტეტი ახალ სასწავლო წელს მთელი რიგი სიახლეებით ხვდება — გაფართოვდა საერთაშორისო პარტნიორობა სხვადასხვა უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტებთან, საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებულია ახალი და უნიკალური სასწავლო კურსები, დაგეგმილია სასტიპენდიო კონკურსები სტუდენტებისთვის და სხვა.

ოქტომბრის თვეში იურიდიულ ფაკულტეტზე გაიმართება „ქართულ გერმანული კოლოქვიუმი“ ქართველი და გერმანული პროფესორების ჩართულობით (კერძო სამართლის მიმართულებით), ასევე, შემოდგომაზე გაიმართება ფორუმი სამართლის ისტორიის მიმართულებით პოლონელ პარტნიორებთან თანამშრომლობით. გაზაფხულის სემესტრში ვუმასპინძლებთ ჰამბურგის მაქს პლანკის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტთან უკვე ტრადიციად ქცეულ მეოთხე ერთობლივ კონფერენციას, რომელიც მიეძღვნება ევროპული ინტეგრაციის საკითხებს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ჰამბურგის მაქს პლანკის ემერიტირებული დირექტორი, მრავალგზის საპატიო დოქტორი იურგენ ბაზედოვი, პროფესორი როლფ კნიპერი და სხვა ცნობილი მეცნიერები. ასევე, მარტის თვეში იურიდიულ ფაკულტეტს ეწვევა ამავე ინსტიტუტის დირექტორი, მრავალგზის საპატიო დოქტორი და პროფესორი რალფ მიხაელსი, რომელიც საჯარო ლექციებს გამართავს ჩვენი სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის შედარებითი კერძო სამართლის საკითხებზე.

შეიქმნა სადისკუსიო პლატფორმა — „დიალოგი პრაქტიკასთან“, სადაც პრაქტიკოს იურისტებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ გააზიარონ ცოდნა და გამოცდილება, ჩაატარონ შეხვედრებისა და ლექციების ციკლი სხვადასხვა მიმართულებით. შემოდგომაზე იგეგმება პირველი შეხვედრა ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მოსამართლეებს, პრაქტიკოსებსა და აკადემიური წრის წარმომადგენლებს შორის პროფესორ ირმა ხარშილაძის ორგანიზებით, რომელიც უკვე იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული გუნდის წევრი გახდა და ზაფხულიდან დაიკავა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის პოზიცია სასწავლო მიმართულებით.

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის სიახლეებია სასწავლო კურსების შეთავაზების მხრივაც. იურიდიული ფაკულტეტი მუდმივად ზრუნავს, შესაბამისი პროცედურების დაცვით, საკუთარი პროგრამების განვითარებაზე, კერძოდ, პირველად საქართველოში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ სასწავლო დისციპლინა — **სამართლის ტექნოლოგიებში** (ლიგალტექი). სასწავლო კურსის ფარგლებში, პროფესორ გიორგი ხუბუას, პროფესორ შტეფან ბრაიდენბახისა და ასოცირებული პროფესორის ლადო სირდაძის მონაწილეობით, სტუდენტები გაეცნობიან სამართლის დიგიტალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასწავლო კურსი უნიკალურია და მისი მიზანია სტუდენტს შესძინოს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სამართლის ტექნოლოგიების დარგში, გამოუმუშავოს მათ სამართლის ტექნოლოგიების გამოყენების, მათი მეშვეობით სამართლის ნორმისა და პროცესების ვიზუალიზაციის, ლიგალტექის პროდუქტების შექმნის, სამართლის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის სფეროში არსებული ინოვაციების შექმნისა და გამოყენების უნარი.

ტრადიციულად გაგრძელდება თანამშრომლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. მისი ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის ლელა ჯანაშვილის ინიციატივით ჩატარდა და დაიგეგმა არაერთი შეხვედრა ამ მიმართულებით და ფაკულტეტი აქტიურად გააგრძელებს ამ თანამშრომლობას, რათა დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, გაიგონ ყველაფერი საკუთარ უფლებებზე და შეძლონ მათი დაცვა.

დაწყებულია ახლად შექმნილი სამენოვანი — ქართულ-ინგლისურ-გერმანულენოვანი „საჯარო სამართლის ჟურნალის“ გამოცემისთვის მზადება, რომელიც ამ მიმართულებით პირველი დარგობრივი ჟურნალია და მისი მიზანია თანამედროვე, აქტუალურ თემატიკაზე — ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში წამოჭრილ სამართლებრივ სადავო თემებზე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე და ა.შ. საზოგადოებისთვის კომპეტენტური სამეცნიერო აზრის მიწოდება. „საჯარო სამართლის ჟურნალი“ წელიწადში ორჯერ, როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული სახით გამოქვეყნდება. ფაკულტეტის ინიციატივითა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით, პირველად, ქართულ იურიდიულ სამეცნიერო ბრუნვას შეემატება ასევე „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის“ ჟურნალი. ჟურნალის კონცეფციისა და შემდგომი თანამშრომლობის საკითხებზე შედგა შეხვედრა დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ 6

^ მე-5 გვ-დან

თან — ულრიხ ჰაგელოხისთან. საქართველოში სამედიცინო სამართალს, რომელიც ყველა განვითარებულ მართლწესრიგში სამართლის დამოუკიდებელ დარგს წამოადგენს, ჯერ კიდევ არ შეუძენია დასრულებული კონტურები და მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია. „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“ ამ მიმართულებებით პროფესიულ ჯგუფებს შორის დიალოგისა და კოოპერაციისათვის საფუძვლის ჩაყრას ისახავს მიზნად. პირველ რიგში, ეს გულისხმობს სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სტატიების შექმნას, კონკრეტული აქტუალური სამედიცინო-სამართლებრივი ქეისების დამუშავებას, სამედიცინო დაწესებულებებისა და მედპერსონალისათვის უმაღლესი ხარისხის იურიდიული მომსახურების კონცეფციის შემუშავებას და ამ მიზნისადმი მიძღვნილ აკადემიურ სტატიათა ციკლის შექმნას.

იურიდიული ფაკულტეტი ტრადიციულად თანამშრომლობს ჰარვარდის სამართლის სკოლასთან და, ამ თანამშრომლობის ფარგლებში, საკუთარ სტუდენტებს კვლავ სრულიად უფასოდ სთავაზობს ერთობლივ სასერტიფიკატო კურსს საავტორო სამართალში.

უნივერსიტეტი და ფაკულტეტი, ასევე, მუდმივად უნდა ზრუნავდეს პროფესორების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ერთი მხრივ, იურიდიული ფაკულტეტი ამაყობს საკუთარი აკადემიური გუნდით, და მართლაც, ამ ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობაზე არიან პროფესორები, რომლებიც ქმნიან ქართულ იურისპუდენციას. მეორე მხრივ, აუცილებელია, უნივერსიტეტმა და ფაკულტეტმა ერთობლივი თანამშრომლობით განახორციელონ ისეთი ცვლილებები, რაც ფაკულტეტს მისცემს შესაძლებლობას — ღირსეული ანაზღაურება და სოციალური დაცვის გარანტიები შესთავაზოს საკუთარ პროფესორებს. ამ მიმართულებითაც, ერთობლივი ძალისხმევით, მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა იგეგმება.

დაბოლოს, უნივერსიტეტის ყველა პირველკურსელს ვულოცავ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას, განსაკუთრებით კი მინდა იურიდიული ფაკულტეტის ყველა პირველკურსელს მივულოცო კავკასიაში პირველი აკადემიური იურიდიული სკოლის სტუდენტობა. ვუსურვებ მათ წარმატებებს უნივერსიტეტისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ...

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

მაია გიწკინაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტსა და რესპუბლიკურ საავადმყოფოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2024 წლიდან, თსუ-ის სტუდენტები (კლინიკური პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით) ამ კლინიკით სარგებლობას შეძლებენ.

მიმდინარე სემესტრიდან სრულად მოხდება ახლად აკრედიტებული მედიცინის პროგრამის იმპლემენტაცია 1-დან მე-5 კურსის ჩათვლით, რაც გულისხმობს როგორც სწავლების, ასევე, შეფასების ახალი მეთოდების აქტიურ დანერგვას.

მედიცინის ფაკულტეტს რესპუბლიკური საავადმყოფოს, დაახლოებით, 10 000 კვ.მ. ფართობი გადმოეცემა, სადაც ჩვენი კათედრების ნაწილი განთავსდება. ვინაიდან ფაკულტეტზე სტუდენტების რაოდენობა მზარდია და კლინიკური კომპონენტის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფის საკითხი, ზოგადად, პრობლემურია, მემორანდუმის ფარგლებში, ასეთი თანამშრომლობა საშუალებას მოგვცემს — სტუდენტებმა მეტი დრო გაატარონ კლინიკაში და პრაქტიკული უნარები გაიუმჯობესონ.

უკვე სრულდება მორფოლოგიის ინსტიტუტის სარემონტო სამუშაოები — ეზოს, ვივარიუმისა და, ასევე, საკონფერენციო დარბაზის კეთილმოწყობა.

სამედიცინო განათლებაში სწავლების უახლესი მეთოდოლოგიის დანერგვისა და სხვა სიახლეების ფაკულტეტზე ინტეგრირების მიზნით, ჩვენ ვაგრძელებთ ევროპის სამედიცინო ასოციაციის (AMEE) ტრენინგებში და კონფერენციებში მონაწილეობას.

ფაკულტეტი ყოველ წელს ავსებს წიგნად ფონდს, წელსაც შევიძინეთ მედიცინის მიმართულებით გამოცემული უახლესი ლიტერატურა, რომელიც უკვე ჩვენს ბიბლიოთეკაშია განთავსებული.

სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით ვაგრძელებთ ჟურნალ „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ გამოცემას, რაც ფაკულტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საკუთარი კვლევების გამოქვეყნებისა და ერთმანეთის ნაშრომების გაცნობის საშუალებას აძლევს.

ამ ეტაპზე, ერასმუს + (BACE) გრანტის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით 6 სასწავლო კურსი მუშავდება, რომლებიც მაგისტრატურის საფეხურზე სავალდებულო, მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე კი არჩევითი საგნების სტატუსით ინტეგრირდება.

ამასთანავე, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი აგრძელებს აშშ-ის ეროვნული ინსტიტუტის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო კვლევით პროექტს „შესაძლებლობების გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში“, რომელიც, ძირითადად, ტრავმატიზმის პრევენციას ეხება და 2017 წლიდან მიმდინარეობს.

სასწავლო პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით ძალიან კარგი გამოცდილება მივიღეთ დისტანციური სწავლების პროცესში. გამარტივდა სასწავლო მასალებზე ელექტრონულად წვდომა და ონლაინ კომუნიკაცია პროფესურასთან, რაც ახლაც ნარჩუნდება.

გვესაუბრება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ღაღანიძე

2022 წლის მისაღები კონტინგენტი ბაკალავრიატში რეკორდული იყო ფაკულტეტის ისტორიაში: ეკონომიკის მიმართულება — 500 ადგილი; ბიზნესის ადმინისტრირება — 700; ტურიზმი — 300. ყველა 1500 ადგილი ათვისებულია.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებზე: „ეკონომიკის“, „ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ტურიზმის“ მიმართულებით ტრადიციულად მაღალია კონკურენცია. არსებულ ვითარებაში სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას სჭირდებოდა თსუ-ის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის მხრიდან ღრმა და სისტემური ანალიზი, სათანადო პრაქტიკული ქმედებების განხორციელება.

ფაკულტეტი, ეტაპობრივად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური მუშაობის შედეგად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფას.

ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიაში პირველად, 2022 წელს აკრედიტირებული იქნა ბიზნეს ადმინისტრირების ერთწლიანი პროგრამა. მეორე ასეთმა პროგრამამ გაიარა თსუ აკადემიური საბჭო 14 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ ის შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლასთან ერთად. წარმატებით ფუნქციონირებს ორმაგი ხარისხის საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში.

ფაკულტეტი გეგმავს რამოდენიმე ახალ სასწავლო პროგრამას საფრანგეთის, რუმინეთის, ლატვიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და იტალიის უნივერსიტეტებთან.

აღსანიშნავია, რომ განახლდა ინფრასტრუქტურა, კერძოდ, გარემონტდა მე-2 სართულის ფასადი და მთლიანად მე-2 სართული.

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

ნანა გაფრინდაშვილი

წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ახალი სასწავლო წელი პირდაპირ სამუშაო ვითარებაში დაიწყო, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, საზეიმო მიღება ოქტომბრის დასაწყისშია დაგეგმილი და ამ დროისათვის პირველკურსელები უკვე მეტნაკლებად გარკვეული იქნებიან საუნივერსიტეტო ცხოვრების თავისებურებებში, მოასწრებენ ერთმანეთის გაცნობას და ვფიქრობ, უფრო ისიამოვნებენ და ბოლომდე შეიგრძნობენ იმ საზეიმო ატმოსფეროს, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გეგმავს და გვპირდება.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ახალი სასწავლო წელი ნამდვილად განსხვავებულია, განსხვავებული, რადგან შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე უნივერსიტეტი და, შესაბამისად, ფაკულტეტიც თითქმის ორი წელი ონლაინ რეჟიმში მუშაობდა და ახლა მეტად მნიშვნელოვანია აღვადგინოთ საუნივერსიტეტო ცხოვრების ჩვეული რეჟიმი, სტილი და რიტმი, რასაც, ერთი მხრივ, ასე მოუთმენლად ველოდით, მაგრამ, მეორე მხრივ, აღმოჩნდა, რომ ყოველივე ამას გარკვეული სირთულეებიც ახლავს თან. ამასთანავე ახალი სასწავლო წლის დადგომას ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებიც ახლავს. ერთი მხრივ, რასაკვირველია, გვიხარია ახალი სასწავლო წლის დაწყება, მაგრამ, მეორე მხრივ, გამოცდილებით ვიცით, როგორი დამღლელი და დიდი გზა გვაქვს წინ. თუმცა, იმედია, როგორც ყოველთვის, მოტივაციას შევინარჩუნებთ და ძალა და ენერგია გვეყოფა დასახული მიზნების მისაღწევად.

ბედნიერები ვართ, რომ უკვე სტუდენტებითა და პროფესურით გაივსო და ახმაურდა უნივერსიტეტის დერეფნები, ბიბლიოთეკები, აუდიტორიები. სტუდენტები მოიჩქარიან ცოდნის მისაღებად, პროფესურა კი მზადაა მათთვის ცოდნის გადასაცემად.

ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველა უნივერსიტეტელს, ჩვენს პროფესორებს, ჩვენს სტუდენტებს, ადმინისტრაციას, ყველას, ვინც უნივერსიტეტის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

ტრადიციულად, განსაკუთრებით მინდა, სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ფაკულტეტის პირველკურსელებს და ე.წ. 1+4 პროგრამის სტუდენტებს. მინდა, რომ უნივერსიტეტმა გაამართლოს მათი იმედები და მათ კი გაამართლონ უნივერსიტეტის იმედები. ამავე დროს, მინდა, გავაფრთხილო ისინი, რომ უნივერსიტეტში სწავლა ადვილი არ არის, რომ ეს საკმაოდ მძიმე, დამღლელი ყოველდღიური შრომაა და ისინი მზად უნდა იყვნენ, რომ ბევრი იშრომონ, რათა თავიანთ მიზნებს მიაღწიონ, ოცნებები აისრულონ და საკუთარ თავს, ოჯახს, ჩვენს უნივერსიტეტსა და სამშობლოს გამოადგნენ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კვლავ ერთგული იქნება თავისი მიზნებისა და ამოცანების — შექმნას და გადასცეს ახალი ჰუმანიტარული ცოდნა, არც ტრადიციები დაივიწყოს და არც სიახლეებს ჩამორჩეს. ამის გარანტია ის უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალია, რომელიც თავმოყრილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩვენი პროფესურისა და მკვლევრების სახით.

ფაკულტეტს წელს მრავალი გამოწვევა აქვს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მისი სამივე საფეხურის მრავალი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის რეჟიმშია და ეს პროცესი 31 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს. იმედი მაქვს, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამები წარმატებით გაივლიან აკრედიტაციას და ფაკულტეტი ახალ წელს აკრედიტებული პროგრამებით შეხვდება.

ᲒᲒ. 14 ⌄

სტუდენტური ფურცელი

tsu.media

თსუ-ში სივრცეების კეთილმოწყობის პროექტზე მუშაობა დაწყებულია

„ჩვენ გვაქვს ყველა სასწავლო კორპუსის ეზოების მოწყობის პროექტი. საუბარი შეეხება, პირველ რიგში, თსუ-ის პირველი კორპუსის მიმდებარედ ხევის გარშემო არსებულ ტერიტორიას, რომელიც რეალურად, ამ ეტაპზე, აუთვისებელია. პროექტის თანახმად, ძალიან ლამაზი სივრცე გაჩნდება.

თსუ-ის ადმინისტრაცია, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, კორპუსების ეზოების კეთილმოწყობას იწყებს. კონკურსის შედეგად შეირჩა კომპანია, რომელმაც ეზოების კეთილმოწყობის პროექტები განახორციელა. რაც შეეხება უშუალოდ სამუშაოებს, ისინი ეტაპობრივად მომავალი წლიდან დაიწყება.

„ჩვენ გვაქვს ყველა სასწავლო კორპუსის ეზოების მოწყობის პროექტი. საუბარი შეეხება, პირველ რიგში, თსუ-ის პირველი კორპუსის მიმდებარედ ხევის გარშემო არსებულ ტერიტორიას, რომელიც რეალურად, ამ ეტაპზე, აუთვისებელია. პროექტის თანახმად, ძალიან ლამაზი სივრცე გაჩნდება.

ანალოგიური სივრცეები მოეწყობა ყველა იმ სასწავლო კორპუსთან, სადაც ამის საშუალება არის, მაგალითად, მე-10 კორპუსის (მაღლივი კორპუსის) შიდა თუ წინა ეზო, მე-11 კორპუსის (ბიოლოგების კორპუსის) მიმდებარე ტერიტორია, მესამე, მეხუთე, მეშვიდე და მეცხრე (ტურიზმის სკოლა) კორპუსებთან მდებარე სივრცეები, მედიცინის ფაკულტეტის კორპუსების გარე სივრცეები (ამჟამად მედიცინის ფაკულტეტის კორპუსების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს და ეზოს მოწყობაც ამ პროექტის შემადგენელი ნაწილია). ჩვენ მომავალი წლიდან ამ პროექტს ეტაპობრივად ვიწყებთ. ასე რომ, უნივერსიტეტს ექნება საკმაოდ მოწესრიგებული სივრცეები როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალისთვის“, – აღნიშნა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ.

„ჩვენ გვაქვს ყველა სასწავლო კორპუსის ეზოების მოწყობის პროექტი. საუბარი შეეხება, პირველ რიგში, თსუ-ის პირველი კორპუსის მიმდებარედ ხევის გარშემო არსებულ ტერიტორიას, რომელიც რეალურად, ამ ეტაპზე, აუთვისებელია. პროექტის თანახმად, ძალიან ლამაზი სივრცე გაჩნდება.

რაც შეეხება უშუალოდ სტუდენტური სივრცეების მოწყობის პროექტებს, ეს ტენდენცია გრძელდება.

სტუდენტური სივრცეები ყველა სასწავლო კორპუსში მოეწყო. ახალი 2022-2023 წლიდან სტუდენტებისთვის პირველი კორპუსის ფოიე და დერეფნები შეივსო მოსაცდელი ავეჯით და გალამაზდა შიდა ინტერიერი. სტუდენტური სივრცეები მოეწყო, ასევე, ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში, მეორე, მესამე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე (ტურიზმის სკოლა), მეათე (მაღლივი), მეთერთმეტე (ბიოლოგების) და მედიცინის ფაკულტეტის კორპუსებში.

„უახლოეს პერიოდში დამატებით ინვენტარს ველოდებით, რომ სტუდენტური სივრცეები სრულად შეივსოს. ჩვენ ამ პროცესს გავაგრძელებთ, რათა ჩვენს სტუდენტებს შევუქმნათ მაქსიმალური კომფორტი“, – ამბობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სწორედ განტვირთვისთვის და დაძაბულობის მოხსნის მიზნით რეაბილიტირდა საგამოცდო ცენტრის რიგი სივრცეები, სადაც დღემდე დამატებით მიმდინარეობს სხვა სივრცეების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჩვენს სტუდენტებს, რომლებიც გამოცდების ჩასაბარებლად არცთუ სასიამოვნო გარემოში უწევდათ მისვლა საგამოცდო ცენტრში, ახლა გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა დახვდებათ“, – აღნიშნა ლაშა საღინაძემ.

პროექტი

სტუდენტური სივრცე თსუ პირველი კორპუსის ფოიეში

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲯᲕᲐᲚᲖᲔ – ᲨᲐᲚᲕᲐ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲔ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

მაღალრეიტინგიანი პირველკურსელები — შალვა წერეთელი და დემეტრე აბესაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვდნენ. ორივე ღირსეული მამის კვალს გაჰყვა: შალვა წერეთელი ცნობილი მეცნიერის, ეკონომიკის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, ღირსების ორდენის კავალერის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი წერეთლის შვილია, დემეტრე აბესაძე კი თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის ვაჟია.

შალვა წერეთელს ყველაზე დიდი ცოდნა და გამოცდილება კომაროვის სკოლამ მისცა. სწორედ ამ სკოლის დამსახურებაა, რომ ყოველგვარი მომზადების გარეშე მათემატიკის ეროვნულ გამოცდაზე უმაღლესი ქულა მიიღო: 51/51. ასევე მაქსიმალური შეფასება ჰქონდა ინგლისურში 80/80, ხოლო ქართულში — 59.67/60.

შალვამ არჩევანი ISET-ის საერთაშორისო სკოლაზე შეაჩერა. ეს სკოლა დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებში და ძალიან მოთხოვნადია. ISET-ში, რესპუბლიკის მასშტაბით, ყველაზე გამორჩეული და მაღალრეიტინგიანი სტუდენტები სწავლობენ. წელს ISET-ის საბაკალავრო პროგრამაზე 150 სტუდენტი მიიღეს საქართველოდან და 7 სტუდენტი სხვა ქვეყნებიდან. უკვე ზედიზედ, მესამე წელია, ISET-ის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა N1-ია საქართველოს ყველა უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკის და ფინანსების პროგრამებს შორის, ერთიანი ეროვნული გამოცდების საკონკურსო ქულების მიხედვით. წელს საქართველოდან მიღებული 150 სტუდენტიდან 149 სტუდენტს სახელმწიფო გრანტი აქვს მიღებული. შალვა ამ სტუდენტებში გამორჩეულია — ეროვნულ გამოცდებზე მან ყველა საგანში უმაღლესი შეფასება მიიღო.

„მათემატიკა ბავშვობიდანვე გამორჩეულად მიყვარდა. მინდოდა, რომ ჩემი პროფესია მათემატიკასთან დამეკავშირებინა, ამიტომ ვიფიქრე, რომ სწავლას ეკონომიკის ან პროგრამირების მიმართულებით გავაგრძელებდი. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე მაინც ოჯახური ტრადიციის გაგრძელების სურვილმა იმოქმედა. მამა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იყო, შესაბამისად, მეც მისი გზა ავირჩიე“, — აცხადებს შალვა წერეთელი, რომელიც თვლის, რომ სწორი არჩევანი გააკეთა. პარალელურად პროგრამირებაშიც აპირებს ცოდნის გაღრმავებას, რადგან საკმაოდ საინტერესო სფეროდ მიაჩნია.

„მამა ოთხი წლის ასაკში გარდამეცვალა. ძირითადად, დედას მოუწია მთელი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება და ვფიქრობ, ცოტა ზედმეტად განიცდიდა იმას, რომ „შესაძლებლობის მაქსიმუმს“ არ ვაკეთებდი. ამ დროს თვითონაც საკმაოდ გააზრებული მქონდა, რომ თუ რამეს არ შევასრულებდი, მხოლოდ საკუთარ თავს დავაზიანებდი. სტუდენტობისას შევეცდები კონცენტრირებული ვიყო საქმეზე, გავაკეთო მაქსიმუმი, რათა მომავალში ჩემს სფეროში წარმატებას მივაღწიო“, — აღნიშნა შალვამ, რომელიც ფიქრობს, რომ ISET-ის სასწავლო პროცესი საკმაოდ საინტერესო, დატვირთული და სიახლეებით სავსე იქნება.



დემეტრე აბესაძე

შალვა წერეთელი



ხათუნა ბოჭორიშვილის ნახატი

მაღალრეიტინგული პირველკურსელის სამომავლო გეგმები უცხოეთში სწავლის გაგრძელებას უკავშირდება. „პროფესიული ცოდნის გაღრმავება, დამოუკიდებლობა, უცხო ენის დონის გაუმჯობესება, განსხვავებული გამოცდილების და შეხედულებების მქონე ადამიანებთან შეხვედრა, ჩემი აზრით, პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, — აცხადებს შალვა, რომლის ყველაზე დიდი სურვილია მიღებული ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობას მოახმაროს.

რაც შეეხება ჩვენი სტატიის მეორე რჩეულს — დემეტრე აბესაძეს, სკოლაში მიღწეული მისი წარმატებების შესახებ მამისგან ხშირად ესმოდათ უნივერსიტეტის თანამშრომლებს. სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებულს მუსიკალური ნიჭიც აქვს, თუმცა პროფესიად ექიმობა აირჩია და თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

წელს თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტზე დიდი კონკურსი იყო. დემეტრემ ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები და 100%-იანი სასწავლო გრანტი მოიპოვა. როგორც თავად ამბობს, ყველაფერს გააკეთებს, რომ პროფესიონალი ექიმი გახდეს. „სკოლაში სწავლის დროს განსაკუთრებით დავინტერესდი ბიოლოგიით. ბიოლოგიისა და მედიცინის უშუალო კავშირმა და შესაბამისმა მოტივაციამ განაპირობა ჩემი არჩევანი. ექიმებს ხომ ადამიანთა სიცოცხლე აბარია... ამიტომ სიღრმისეულად შევისწავლი ყველა საგანს, დამატებით გავეცნობი უახლეს ლიტერატურას, ავითვისებ პრაქტიკას, რათა მაღალი კვალიფიკაციის ექიმი გავხდე. დღეისათვის საქართველოში ახალი სამედიცინო ტექნოლოგიები და მკურნალობის ახალი მეთოდები ინერგება. ეს ტენდენცია მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ბუნებრივია, უნდა ამაღლდეს ექიმთა კვალიფიკაციის დონეც. ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ უფასო ჯანდაცვა ჩამოყალიბდება“, — ასე ფიქრობს მომავალი ექიმი დემეტრე აბესაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ დედაუნივერსიტეტი მას სწავლების მაღალ სტანდარტებს შესთავაზებს. დემეტრემ იცის, რომ მიზნის მისაღწევად დიდი შრომაც საჭიროა.

შალვა და დემეტრე ბავშვობიდან მეგობრობენ, ერთმანეთის წარმატება უხარიათ და იმედია, უნივერსიტეტის კედლებშიც ისეთივე წარმატებით და ღირსეულად ივლიან, როგორც მათი მშობლები დადიოდნენ და დადიან...

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

„ᲗᲡᲣ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ“ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

თსუ-ში ახალი პროექტი „თსუ ასისტენტი“ დაიწყო. ასისტენტის მხარდაჭერა გულისხმობს — მიაწოდოს სტუდენტებს ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო, ადმინისტრაციული და სტუდენტური ცხოვრების მიმართულებით, ასევე, დაეხმაროს მათ საუნივერსიტეტო აქტივობებისას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში. პროექტს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი ახორციელებს.

„ასისტენტი მოისმენს რა თქვენს საჭიროებებს, დაგეხმარებათ საკითხის გადაწყვეტაში, თუკი ეს საკითხი შეხებაში იქნება ცენტრთან და მის კომპეტენციასთან. იმ შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხება სხვა სამსახურს, გიჩვენებთ სწორ გზას, თუ სად მიიღებთ პასუხებს“, — აცხადებს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრი.

თსუ-ის ასისტენტისგან კონსულტაციის მიღების სურვილის შემთხვევაში სტუდენტებმა სპეციალური ფორმა — https://forms.gle/DAQFj2TSDKbc1TjMA — უნდა შეავსონ. რეგისტრაციის შემდგომ განაცხადზე პასუხი, მაქსიმუმ, 3 დღის ვადაში იგზავნება. შეხვედრის ჩანიშვნა შესაძლებელია კვირის ნებისმიერ სამუშაო დღეს 12:00 სთ-ზე (ჭავჭავაძის 1. თსუ I კორპუსი. ჩაის სახლის შენობის მეორე სართული).

„ჩვენ არა მარტო კარიერული განვითარების, არამედ სტუდენტური სერვისების ცენტრიც ვართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა მისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღოს მაქსიმალურად მოკლე დროში, იცოდეს ამა თუ იმ პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში, ვის მიმართოს და როგორ მოიქცეს. ავიღეთ სამი სფერო — სასწავლო, ადმინისტრაციული და სტუდენტური ცხოვრების მიმართულება, რადგან სტუდენტების მხრიდან დასმული შეკითხვები სწორედ ამ თემებს ეხება. სასწავლო საკითხთან დაკავშირებით მივცემთ სწორ რეკომენდაციებს — როგორ დაგეგმოს პირადი აკადემიური კალენდარი, როგორ უნდა შეასრულოს კრედიტების მიღების გეგმა, რაც კვალიფიკაციის მიღებისთვის სჭირდება. მივაწვდით ინფორმაციას აკადემიური თუ ადმინისტრაციული რეგისტრაციის სწორად წარმართვის თაობაზე და ა.შ. ჩვენი მიზანია ვუბიძგოთ მათ — შეაღონ სწორი კარი“, — განმარტა თსუ-ის სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი გრიგოლაშვილმა.

ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲯᲚᲣᲑᲘ — „ᲡᲘᲕᲠᲪᲔ 037“ — ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ

„სივრცე 037“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა დააარსეს. მასში გაწევრიანება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია. დამფუძნებლები საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და საქველმოქმედო აქტივობების განხორციელებას გეგმავენ. კლუბის წევრების ორგანიზებით, ამ დროისთვის, უკვე მიმდინარეობს იურისტთა მინი საფეხბურთო ლიგის ჯგუფური ეტაპები. ლიგაში 16 გუნდი მონაწილეობს. საფეხბურთო მატჩები თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში მდებარე სტადიონზე იმართება.

„სივრცე 037“ დავაარსეთ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა და მისი კარი ყველასთვის ღიაა. იდეა რამდენიმე სტუდენტს დაგვებადა, როდესაც 037 აუდიტორიაში ვისხედით ერთ-ერთი ივენთის დროს. მიზანი მარტივია — სტუდენტური ცხოვრება თავად სტუდენტებმა უნდა შევქმნათ. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია კონკრეტული თანხა სტუდენტური პროექტებისთვის, რომლის გამოყენებაც საკუთრი იდეის რეალიზებისთვის ყველა სტუდენტს შეუძლია. ბევრმა ეს არ იცის.

ყველა კრეატიული და საინტერესო იდეის მქონე სტუდენტი მოვა სივრცე 037-ში, სადაც დახვდებიან უკვე გამოცდილი სტუდენტები და ერთად აქცევენ იდეას რეალურ პროექტად. ეს გააცოცხლებს სტუდენტურ მუხტს. დაგეგმილია უამრავი სპორტული, კულტურული, გასართობი და საგანმანათლებლო აქტივობა; იმიტირებული პროცესები, კინოჩვენებები, საქველმოქმედო აქტივობები. ახალ წელს ვაპირებთ უსახლკარო ბავშვების დახმარებას. ვთანამშრომლობთ სისხლის ბანკთან და ჩვენი ორგანიზებით, საჭიროების შემთხვევაში, შევძლებთ უამრავი ადამიანის აქციაში ჩაბმას ფულადი დახმარების

ან დონორად ქცევის მიზნით. ვგეგმავთ სტუდენტურ დღეებსაც, რომელსაც თავიდან ბოლომდე პროგრამულად გაწერენ, გააფორმებენ, ორგანიზებას გაუწევენ ჩვენი მოხალისე სტუდენტები. ველოდებით და ვთანამშრომლობთ უკვე რამდენიმე სპონსორთან. სივრცე გამოჩნდება სოც ქსელებში.

მიზანი, გარდა ჩვენი დაგეგმილი პროექტების გავრცელებისა და სტუდენტების ინფორმირებისა, უნივერსიტეტის პიარი და პოპულარიზაციაა, რათა, სტუდენტური ცხოვრების კუთხით, თსუ მომავალი სტუდენტებისთვის სასურველ და მიმზიდველ გარემოდ ვაქციოთ. დავეხმარებით თსუ-ის სტუდენტებს თავიანთი სტარტაპების გარეკლამებაშიც. მოკლედ, გეგმები დიდია. ველოდებით ყველა სტუდენტს ჯანსაღი, კრეატიული, საინტერესო იდეით. აქვე მადლობა იურიდიულ ფაკულტეტს და მის დეკანს, რომელმაც ყველანაირი გარემო შეგვიქმნა „სივრცე 037“-ის დაარსებისთვის და ფუნქციონირებისთვის და, ასევე, აკადემიურ პერსონალს, თსუ-ის ადმინისტრაციას, რომელიც გვერდში უდგას კლუბს“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, „სივრცე 037“-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა საბა ბასილაძემ.

ᲐᲠᲐᲑᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲜᲢᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ლადო ზირაქაშვილი თსუ-ის არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტია. მას მიზნად აქვს დასახული, შეადგინოს დიდი არაბულ-ქართული ლექსიკონი და უფრო მეტიც – ამ სამუშაოს უდიდესი ნაწილი მას უკვე შესრულებული აქვს. ამ ასაკში არაბულ-ქართული ლექსიკონის შედგენა, მისი მხრიდან, მეტად გაბედული და ამბიციური ნაბიჯია. მან საქართველოში მიღებულ ცოდნას ეგვიპტესა და ქუვეითში შეძენილი გამოცდილებაც დაუმატა და ახლა შემართებით მუშაობს ამ დიდ პროექტზე.

გვესაუბრება მაგისტრანტი
ᲚᲐᲓᲝ ᲖᲘᲠᲐᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ქართული არაბისტიკის სამეცნიერო სკოლა მდიდარია დარგისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის ნაშრომებით, როგორც ენათმეცნიერებაში, ისე ისტორიასა და ლიტერატურაში. ქართული არაბისტიკის მესაძირკვლემ, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა იმთავითვე განსაზღვრა სკოლის მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტი, რომელიც თაობების შემდეგაც უწყვეტად გრძელდება. ჩვენთან ხელშესახებად იგრძნობა ის ძლიერი ტრადიცია, რომელსაც დღეს ჩემი მასწავლებლები აგრძელებენ. ქართული არაბისტიკის სამეცნიერო საზოგადოება დღემდე ქმნის დარგისთვის საერთაშორისო სტანდარტების პროდუქტს.

მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნიდან მოყოლებული, არაბული ენათმეცნიერების თითქმის ყველა საკითხი ქართულ არაბისტიკაში ღრმად მუშავდება, ლექსიკოგრაფია მხოლოდ რამდენიმე ნაშრომით არის წარმოდგენილი.

პირველი არაბულ-ქართული ლექსიკონი 1951 წელს გიორგი წერეთელმა შეადგინა მისი ავტორობით გამოცემული არაბული ქრესტომათიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონი მოცულობით მცირეა, მასში ზუსტად არის განსაზღვრული არაბულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ძირითადი პრინციპები. მას შემდეგ გიორგი წერეთლის შრომა, ამ მხრივ, წლების განმავლობაში არ გაგრძელებულა, ლექსიკონი არ შევსებულა. 2005-2007 წლებში ნუნუ ბეროზაშვილის მიერ შედგენილი ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონითა და არაბულ-ქართული პოლიტიკურ-დიპლომატიური ლექსიკონით გაგრძელდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნით შეწყვეტილი საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ნუნუ ბეროზაშვილის ლექსიკონები დარგობრივია და მათი მოცულობაც არ არის დიდი, ისინი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ქართული არაბისტიკისთვის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა საქართველოსა და არაბულ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დღითიდღე აქტიურდება. დიპლომატიური ლექსიკონების შემდგომ, 2011 წელს გამოიცა მაია ანდრონიკაშვილის, ნინო ანთიძე-კახიანისა და დარეჯან გარდავაძის ავტორობით შედგენილი ლექსიკონი თანამედროვე არაბული ენის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსთვის. ლექსიკონი თანამედროვე არაბული ენის სახელმძღვანელოს ლექსიკას მოიცავს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, არ გვაქვს ფართო გამოყენების არაბულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც დარგით ღრმად დაინტერესებულ ადამიანს შესაძლებლობას მისცემს — სრულყოფილი აკადემიური ინფორმაცია მიიღოს არაბულ ლექსემათა მნიშვნელობების შესახებ. ამ დანაკლისს, პირველ რიგში, სტუდენტები გრძნობენ, განსაკუთრებით, ბაკალავრიატის საფეხურზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ევროპულ ენებზე შედგენილი არაბული ენის ფუნდამენტური ლექსიკონები, მათი გამოყენებაც გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. როგორც მე მი-

ნახავს, სტუდენტებს არაბული სიტყვის, მაგალითად, ინგლისური ეკვივალენტის თარგმნა შემდეგ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებში უწევთ. ეს პროცესი, ხშირ შემთხვევაში, ხანგრძლივია და შედეგიც სიზუსტეს მოკლებულია. მანქანური თარგმანის გამოყენებით მიღებული შედეგი კი, არაზუსტთან ერთად, ხშირად კომიკურ სახეს იღებს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ?

ბაკალავრიატის მესამე კურსზე, 2018 წელს არაბულ ქვეყანაში სასწავლო მიზნით ხანმოკლე ყოფნამ კიდევ უფრო მაგრძნობინა ლექსიკონის საჭიროება და სწორედ იქიდან დაბრუნებულმა ვცადე ამ საქმის დაწყება.

არაბული ენის სრულყოფილი კორპუსის არარსებობის გამო, თავიდანვე ცხადი იყო, რომ არაბულ-ქართული ლექსიკონი უნდა დაჰყრდნობოდა იმ უმდიდრეს ლექსიკოგრაფიულ გამოცდილებას, რაც არაბული ენისთვის არსებობს, როგორც არაბული განმარტებითი, ისე თარგმნითი ლექსიკონების სახით. თავიდანვე რთული აღმოჩნდა უხვი არაბული ლექსიკონებიდან ისეთის შერჩევა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა არაბულ-ქართულ ლექსიკონს. საჭირო იყო ანბანთრიგზე დალაგებული ძირები და მათი ძირითადი მორფოლოგიური ფორმები, რომლებიც შექმნიდა ლექსიკონის ჩონჩხს და, შემდგომ ეტაპზე, ეს ჩონჩხი შეივსებოდა სხვა მნიშვნელოვანი ლექსიკონების მონაცემებით. ასეთ საფუძვლად, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მოიაზრებოდა არაბული განმარტებითი ლექსიკონებიდან ერთ-ერთი, მაგრამ ეს პრაქტიკული თვალსაზრისით მოუხერხებელი აღმოჩნდა. მკითხველისთვის რომ გასაგები იყოს, როგორც განმარტებით, ისე – თარგმნით არაბულ ლექსიკონებს ლექსემათა დალაგების სხვადასხვა პრინციპი აქვთ. ეს პრინციპი არაბული განმარტებითი ლექსიკონებისთვის ისტორიულადაც განსხვავებული იყო. ერთადერთი პრინციპი, რაც არაბული ლექსიკონების უმრავლესობას აერთიანებს, ის არის, რომ ლექსემები ძირების მიხედვით არის დალაგებული, თუმცა, ბოლო დროს, არსებობს ანბანზე დალაგებული ლექსიკონებიც (მაგ. არაბულ-თურქული ლექსიკონი). ძირის პრინციპთან ერთად, თანამედროვე არაბული ლექსიკონისთვის ყველაზე ეფექტური სახეა მისი ბუდეების სტრუქტურით დალაგება. ბუდეების სტრუქტურა გულისხმობს იმას, რომ ერთი ძირის მორფოლოგიური ფორმები – ზმნები და სახელები – ბუდის ორ ნაწილს ქმნიან. ბუდის პირველ ნაწილში მოცემულია შესაბამისი ძირის ზმნური ფორმები, რომლებიც პირველიდან მეთხუთმეტე თემამდე მიმდევრობით არის დალაგებული, ხოლო ბუდის მეორე ნაწილში წარმოდგენილია სახელური ფორმები, რომლებიც ანბანთრიგის მიხედვითაა დაწყობილი. არაბულ განმარტებით ლექსიკონებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირების მიხედვითაა დალაგებული, ძირის ქვეშ მოცემული ლექსემები არ არის განაწილებული ბუდეების სისტემაზე. ცხადი გახდა, რომ დასაწყის ეტაპზე, არაბული განმარტებითი ლექსიკონის საფუძვლად აღება, ძირის ზმნათა და სახელთა ფორმების ამორჩევა და მათი ბუდეებზე გაწყობა ბევრ დამატებით დროს წაიღებდა, სწორედ ამიტომ არაბულ-ქართული ლექსიკონის საფუძველი უნდა ყოფილიყო ბუდეების სისტემაზე განლაგებული არაბული თარგმნითი ლექსიკონი. ასეთი ლექსიკონი აღმოჩნდა ბარანოვის დიდი არაბულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც ერთ-ერთ სრულყოფილ თარგმნით ლექსიკონად ითვლება თანამედროვე სალიტერატურო არაბული ენისთვის.

არაბული ენის ლექსიკონების უმრავლესობა არაბული ენის განვითარების რომელსამე ეტაპზე აკეთებს აქცენტს და მის მნიშვნელობებს აღწერს. არაბულ-ევროპული ლექსიკოგრაფიის კლასიკად აღიარებული ლექსიკონები, მაგალითად, ლეინის არაბულ-ინგლისური ლექსიკონი, კაზიმირსკის არაბულ-ფრანგული ლექსიკონი და სხვა, ძირითადად, ისლამამდელი და კლასიკური არაბული ტექსტების ლექსიკაზეა ორიენტირებული და მათ მნიშვნელობებს გადმოსცემს. მოგვიანო ხანის ევროპული ლექსიკონები (ვერის არაბულ-ინგლისური ლექსიკონი, ბარანოვის არაბულ-რუსული ლექსიკონი და სხვა) კი თანამედროვე სალიტერატურო არაბულის მნიშვნელობების გადმოცემით შემოიფარგლება, ასევე, თანამედროვე ლექსიკონებში ადგილს იკავებს სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და მნიშვნელობები.

არაბულ-ქართული ლექსიკონის მიზანი თავიდანვე შემდეგნაირად განისაზღვრა: ამ ლექსიკონში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არაბულ-ევროპული ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, როგორც არაბულ კლასიკურ ძეგლებზე ორიენტირებული ლექსიკონების მონაცემები, ისე თანამედროვე არაბულ-ევროპულ ლექსიკონებში გადმოცემული მნიშვნელობები. დასაწყისიდანვე ნათელი იყო, რომ არაბულ-ქართული ლექსიკონი არ უნდა ყოფილიყო რომელიმე ერთი არაბული განმარტებითი ან თარგმნითი ლექსიკონის ზუსტი ასლი ქართულ ენაზე, სწორედ ამიტომ, ლექსიკონის შედგენის მეორე ეტაპი გულისხმობს, არაბული ენის გარდა, 4 ენაზე (ინგლისური, რუსული, ფრანგული, თურქული) შედგენილი თარგმნითი ლექსიკონების ინფორმაციის გათვალისწინებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი ტექნიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა სახის ტერმინოლოგია, რაც თანამედროვე სამყაროსთვის აქტუალურია.

დღეს, როცა მანქანური თარგმანის დახვეწა სწორედ პარალელური კორპუსებისა და ზუსტი ლექსიკონების საფუძველზე ხდება, სრულყოფილი ლექსიკონის აუცილებლობაზე საუბარი, ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია. არაბულ-ქართული ლექსიკონის უმთავრესი სამიზნეა სტუდენტი, რომელიც არაბულ ენას სწავლობს. ამასთან ერთად, აღნიშნული ლექსიკონი, მჯერა, დახმარებას გაუწევს დარგით დაინტერესებულ მეცნიერებს, მომიჯნავე სფეროს წარმომადგენლებს, ასევე, მეტად გააადვილებს თარგმნის პროცესს.

ამ დროისთვის ლექსიკონზე მუშაობის პირველი ეტაპი დასრულებულია, მეორე ეტაპზე მუშაობა კი აქტიურად მიმდინარეობს.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲪᲣᲚᲘ

tsu.media

8 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის TSU Welcome Party 2022 მოეწყო.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ
ჯგუფი „მგზავრები“; Stefan Biniak; 4D Lobsters; Monk; Guri De Sal.

„თქვენ გახდით ყველაზე მაგარი უნივერსიტეტის სტუდენტები. ერთხელ უნივერსიტეტელი ყოველთვის უნივერსიტეტელია. გილოცავთ!.“ - ამ სიტყვებით მიმართა გიორგი შარვაშიძემ სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ღონისძიებაზე, რომელსაც 14 000-მდე სტუდენტი დაესწრო.

სტაჟირების კურსი სტუდენტებისთვის!

ყოველ სემესტრში ერთხელ ცხადდება სტაჟირების კურსი - ჟურნალისტიკა და პრაქტიკა
კურსს უძღვება თსუ პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრის ხელმძღვანელი,
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი, ჟურნალისტი ნინო კაკულია
კურსი მოიცავს ჟურნალისტიკაში (პრესისა და ტელევიზიის მიმართულებით)
დახელოვნებისთვის თეორიულ (ონლაინ) და პრაქტიკულ მეცადინეობებს.
გაიცება სტაჟირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა
დაინტერესებულმა სტუდენტებმა მოგვმართეთ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქციას (თსუ, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული, 307 ოთახი).

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ

ᲒᲖᲔᲑᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲥᲝᲜᲘᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲔ�თᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ �პᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲨᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲕᲝᲑᲐ: ᲓᲘᲓᲗᲝᲕᲚᲝᲑᲐ, ᲜᲘᲡᲚᲘ, ᲖᲕᲐᲕᲘ, ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ, ᲗᲐᲕᲡᲮᲛᲐ ᲬᲕᲘᲛᲐ, ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ Ა.Ш., ᲠᲐᲪ, ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ ᲡᲐ�გᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲧᲣᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲔᲠᲮᲔᲑᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲖᲔᲑᲘ ᲘᲙᲔᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ �გᲖᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ �გᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ/ᲓᲐᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

2022 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡ�წᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�გᲠᲐᲜᲢᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ (ᲚᲝᲢᲘ I) �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ: „ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ �გᲖᲔᲑᲘᲡ (�თᲑᲘᲚᲘᲡᲘ-�გᲣᲓᲐᲣᲠᲘ-ᲚᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲘ-ᲨᲐᲢᲘᲚᲘ) ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ/ᲓᲐᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ“.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲙᲐᲛᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲨᲔᲡ�წᲐᲕᲚᲘᲚᲘᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-�გᲣᲓᲐᲣᲠᲘ-ᲚᲐᲠᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲘ-ᲨᲐᲢᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ �გᲖᲔᲑᲖᲔ ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ �გᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ (ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ, ᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲘ, ᲙᲚᲓᲔᲖᲕᲐᲕᲘ — ᲥᲕᲐᲗᲐᲪᲕᲔᲜᲐ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.) ᲓᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ (ᲣᲮᲕᲘ ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲘ, ᲜᲘᲡᲚᲘ, ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲘ, ᲥᲐᲠᲑᲣᲥᲘ, �თᲝᲕᲚᲘᲡ ᲖᲕᲐᲕᲘ, �წᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.) ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ �გᲖᲐ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲜᲚᲐ�გᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲔᲗᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲬᲧᲐᲚ�გᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲥᲔᲓᲘᲗ (ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲔᲓᲘ) ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠᲘ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ: ᲯᲕᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲘᲡᲐ (2379 Მ; ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ) ᲓᲐ ᲓᲐᲗᲕᲘᲡᲯᲕᲠᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲘᲡ (2676 Მ; ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ) ᲒᲐᲕᲚᲘᲗ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ �გᲖᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ/ᲓᲐᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ. ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ (ᲓᲐᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲐ) ᲠᲣᲙᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ �გᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲠᲝᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ.

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲛᲙᲚᲕᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ �გᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ, ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ, ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ �გᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲛᲝᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐ: „ᲡᲐᲨᲘᲨᲘ �გᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲪᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ — ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘ, ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲐ“ (ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ: ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲣᲜᲬᲔᲚᲘᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲘᲙᲐᲫᲔ).

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ �გᲐᲮᲚᲓᲐᲗ �თᲡᲣ-ᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ — �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲕᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲩᲘᲮᲠᲐᲫᲔ, ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲘᲙᲐᲫᲔ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲣᲜᲬᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„DAMAST“-ᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲡ�პᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ᲔᲜ�გᲣᲠᲰᲔᲡᲖᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ, �წᲧᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲓᲐᲜ ᲣᲬᲧᲕᲔᲢ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲐᲩᲕᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲜᲔᲠ�გᲠᲝᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ 40%-Ს ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ, 30 ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲜ�გᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ �გᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ �გᲐᲣᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲡ — ᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲒᲔᲝᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ — „DAMAST“-ᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ — „ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲐᲨᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: �წᲧᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲙᲐᲠᲑᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲙᲚᲕᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ DAMAST-ᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ 3 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲐ. ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ 7.5 ᲛᲚᲜ. ᲔᲕᲠᲝᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ:

- DAMAST – ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓ�გᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ

^ მე-11 გვ-დან

ლური ტექტონიკური პროცესის შესახებ. ფაქტობრივად, ეს არის ახალი მონაცემები რეგიონის შესახებ, რაც აქამდე არ დაკვირვებულა.

„ლოკალური სეისმური ქსელის განვითარება მანამდე, სანამ კაშხლის აშენება დაიწყება, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკვე გვეცოდინება ლოკალური აქტიური სტრუქტურები, მათი ბუნება. DAMAST-Transfer-ის ფარგლებში გადაწყდა წინასწარი დაკვირვება გაგვეკეთებინა მდინარე ნენსკრას ხეობაში, სადაც მომავალში მაღალი კაშხლის აშენება იგეგმება. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰესი არ აშენდა, მიღებული ცოდნა ლოკალურ სეისმურობაზე მნიშვნელოვანია ჭუბერის თემის უსაფრთხოებისთვის, რადგან ეს რაიონი მეწყერსაშიში ზონებით ხასიათდება, რომლის ინიცირებას ზოგჯერ მიწისძვრაც იწვევს“, — ამბობს თსუ-ის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და რისკის სექტორის ხელმძღვანელი ნინო წერეთელი.

საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბების პერსპექტივა

საქართველოში არსებული ჰიდრორესურსების პოტენციალიდან გამომდინარე და პროექტების ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, აქტიურად განიხილება საქართველოში საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც ენგურჰესის მაგალითზე მიღებულ შედეგებს, წყალსაცავში მიმდინარე პროცესებისა და უსაფრთხოების შესაბამის პარამეტრებს, ასევე, შემუშავებულ მონიტორინგული სისტემების კონცეფციას მსგავს პირობებში არსებულ სხვა კაშხლებსაც მოარგებს. გარდა ამისა, ცენტრი გააერთიანებს კლიმატის ცვლილებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების კვლევების სხვადასხვა მიმართულებებს.

საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბების პერსპექტივა პირდაპირ კავშირშია გერმანულ მხარესთან თანამშრომლობის სტაბილურობაზე. პროექტში ჩართული მეცნიერები ამბობენ, რომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან გამოხატულმა მხარდაჭერამ აღნიშნული სტაბილურობისთვის პირველი ნაბიჯი გადადგა.

„ეს პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ენგურჰესის მონიტორინგის შედეგები არ არის ოპტიმისტური და საქართველომ უნდა იფიქროს ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის საკითხებზე. დარწმუნებული ვარ, რომ „DAMAST“-ის პროექტები ჩვენი ქვეყნისა და მთლიანად კავკასიის რეგიონის მდგრადი და სტრატეგიული ენერგოგანვითარების საშუალებას მოგვცემს“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„კარგად ვიცით — თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰესების სექტორის განვითარებას საქართველოს ენერგომომარაგებისთვის. „DAMAST“-ის პროექტის კვლევებით ჩვენ უფრო კარგად შეგვიძლია დავინახოთ, რა პრობლემები არსებობს და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა. ეს ყველაფერი საჭიროა მომავალი თაობებისთვის და რეგიონული საერთაშორისო კვლევითი ცენტრი მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკული პოლიტიკისა და საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თორნიკე ყაზარაშვილმა.

საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის ინტერესები

მტკნარი წყლის მართვისა და საზოგადოებისთვის სუფთა, მდგრადი და ხელმისაწვდომი ელექტროენერგიის მიწოდების საკითხში საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის საკუთარ ინტერესებზე ისაუბრეს გერმანიის განათლებისა და მეცნიერების ფედერალური სამინისტროს დელეგაციის წარმომადგენლებმა და საქართველოში გერმანიის ელჩმა პიტერ ფიშერმა.

> ენგურჰესზე განხორციელებულმა დაკვირვებებმა, რომელიც ხმელეთიდან, წყლიდან და ასევე კოსმოსიდან უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, აჩვენა, რომ კავკასიაში ყველაზე მაღალი კაშხალი, რომელიც ქვეყნის ენერგრომომარაგების 40%-ს შეადგენს, დაახლოებით, 30 წელიწადში ფუნქციონირებას ვეღარ შეძლებს. შესაბამისად, აუცილებელია ენგურჰესის რეაბილიტაციის გეგმის შემუშავება, რაც კაშხალს სიცოცხლისუნარიანობას გაუხანგრძლივებს — ამის თაობაზე ქართველმა და გერმანელმა გეოფიზიკოსებმა სამეცნიერო კვლევითი პროექტის — „DAMAST“-ის შედეგების შეჯამებისას ისაუბრეს.

ნინო წერეთელი

„კარლსრუეს ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩემი ვიზიტის მიზანი ენგურჰესის ირგვლივ დამონტაჟებული სადგურებიდან მონაცემების მიღება-დამუშავება იყო. პროექტის ფარგლებში შევისწავლე უნიკალური ტექნოლოგიები, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ ლოკალური სეისმური ივენთების დეტექტირება და მიღებული ინფორმაციის დამუშავება. გაცვლითი პროგრამა ერთთვიანი იყო. საქართველოში არსებული ბაზა საშუალებას გვაძლევს ეს კვლევები აქაც განვახორციელოთ და საბოლოოდ ენგურჰესის მდგომარეობა შევაფასოთ“, — გვითხრა თსუ-ის გეოფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტმა და თსუ-ის ფიზიკის მიმართულების მაგისტრანტმა ნაზი ტუღუშმა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „მონიტორინგი მაღალი კაშხლის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებისთვის: წყლისა და ელექტროენერგიის საიმედო მიწოდება დეკარბონიზაციისათვის“ — 15 სექტემბერს გაიხსნა. გერმანელების დელეგაცია „DAMAST“-ის ფარგლებში მიღებული კვლევების შედეგებსა და ენგურჰესის ირგვლივ დამონტაჟებული სეისმური და გეოდეზიური სადგურების მუშაობას რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდა.

ახალი საგანი – ინოვაციური ეკონომიკა

თამარ დადიანი

ახალი სასწავლო წლიდან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტებს წაუკითხავს ახალ სალექციო კურსს — „ინოვაციური ეკონომიკა“, რომელიც ციფრული ეკონომიკის სასწავლო მოდულის ერთ-ერთი სავალდებულო საგანია.

რა არის ინოვაციური ეკონომიკა? რა მნიშვნელობა აქვს მის განვითარებას? რატომ გახდა აუცილებელი ამ ეკონომიკური დისციპლინის სწავლება სტუდენტებისათვის და რა საკითხებს განიხილავს აღნიშნული საგანი?

გვესაუბრება პროფესორი
ელგუჯა მექვაბიშვილი

სიტყვა „ინოვაცია“ ეტიმოლოგიურად წარმოდგება ლათინური „Innovation“-ისგან და ნიშნავს ახალს, სიახლეს. ყველაზე მარტივი განმარტებით, „ინოვაციური ეკონომიკა“ არის ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა. ინოვაციური ეკონომიკა საზოგადოების მწარმოებელი ძალების ხანგრძლივი განვითარების კანონზომიერი შედეგია.

ჯერ კიდევ ადრეულ, მე-17-ე საუკუნეში თვალსაჩინო ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრ. ბეკონმა დაწერა ნაშრომი „ესეები ინოვაციების შესახებ,“ რომელშიც აღწერილია მითიური სახელმწიფო „ატლანტიდა,“ სადაც ინოვაციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრებაში. ინოვაციური ეკონომიკის თეორიის ფუძემდებლად სამართლიანადაა აღიარებული ცნობილი ავსტრო-ამერიკელი ეკონომისტი ი.ა. შუმპეტერი, რომლის აზრით, ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალაა გამოგონებები და ინოვაციები. ისინი ბაზარზე გამოდიან ახალი პროდუქტების და ახალი პროცესების სახით. ინოვაციები ქმნის მოთხოვნას საინვესტიციო კაპიტალზე და „აცოცხლებს სტერილურ (მკვდარ) კაპიტალს“ (შუმპეტერი).

ინოვაციური გადატრიალებები, როგორც წესი, ღირებულებათა შექმნის მთელი ჯაჭვის შეცვლას იწვევს, როგორც ეს გააკეთა ორთქლის ძრავამ სამრეწველო რევოლუციის პერიოდში და კომპიუტერების ინტერნეტებთან ინტეგრაციამ საინფორმაციო რევოლუციის პერიოდში (1980-1990-იანი წლების მიჯნაზე).

თანამედროვე რეალობაში ძირეულად შეიცვალა რა საზოგადოების განვითარების ტექნო-ეკონომიკური პარადიგმა, მის ცენტრში ინოვაციურ ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხები აღმოჩნდა.

რამდენიმე წლის წინ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მაგისტრატურაში, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირველად საქართველოში, შეიქმნა ციფრული ეკონომიკის მოდული, რომლის ერთ-ერთი სავალდებულო საგანი ინოვაციური ეკონომიკაა, რაც სრულიად კანონზომიერია. საქმე იმაშია, რომ ინოვაციური ეკონომიკა საკმაოდ ფართო და ტევადი ცნებაა, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: საინფორმაციო ეკონომიკას; ცოდნის ეკონომიკას (knowledge economy), ან როგორც ზოგჯერ ამბობენ ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკას (knowledge-based economy) თუ ცოდნით მართულ ეკონომიკას (knowledge drive economy). ინოვაციური ეკონომიკის ყველაზე თანამედროვე და პერსპექტიული ტიპია ციფრული ეკონომიკა (digital economy), რომლის უზარმაზარი პოტენციალი, განსაკუთრებული სიცხადით, კოვიდ 19 პანდემიით შექმნილ ექსტრემალურ პირობებში გამოიკვეთა. სიამოვნებით მივიღე შემოთავაზება აღნიშნული საგნის წაკითხვის თაობაზე და ამჟამად ინტენსიურად ვმუშაობ ინოვაციური ეკონომიკის სალექციო კურსის გამოცემაზე. ვფიქრობ, სტუდენტთა ინტერესი ამ საგნის მიმართ საკმარისად დიდია და ვიმედოვნებ, მომავალშიც ასე იქნება, რამეთუ საკითხი ეხება ყველაზე რაციონალურ და ეფექტიან ეკონომიკურ სისტემას, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს ყველაზე განვითარებულ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში და რაც, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის... სწორედ ინოვაციურ ეკონომიკაზე დაყრდნობით, დროის მოკლე პერიოდში, შეძლეს ფანტასტიკური შედეგების მიღწევა ერთ დროს ეკონომიკურად არც თუ ისე განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორიცაა ირლანდია, ფინეთი, ისრაელი, სამხრეთ კორეა და სხვ.

ინოვაციური ეკონომიკა ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა სახელწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად

ქართველი ეკონომისტების (ვ. პაპავა, რ. აბესაძე, ლ. ჩიქავა და სხვები) მიერ არაერთხელ აღნიშნულა ის გარემოება, რომ ბუნებრივი რესურსებით (ნავთობი, გაზი და სხვ.) სწრაფი ეკონომიკური ზრდის და გლობალურ ეკონომიკაში ღირსეულად ინტეგრირების ერთადერთი გზა ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე გადის (მით უფრო ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა). იმის თქმა, რომ საქართველოში ამჟამად არ მიმდინარეობს ამ მიმართულებით მოძრაობა, არ იქნება სწორი. სხვადასხვა დროს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია დოკუმენტები, რომლებიც არაპირდაპირ და პირდაპირ პასუხობს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს. მათ შორის, მთავარია „საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ“, რომელიც ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფუნდამენტს წარმოადგენს. ფუნქციონირებს საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო — „კვლევებისა და ინოვაციების საბჭო“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი — „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომლებსაც ეკისრებათ ინოვაციური ეკონომიკის ფუნქციონირების წარმართვა. ასევე ჩამოყალიბების პროცესშია ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რომელიც შემდეგ ელემენტებს მოიცავს: სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები, ბიზნესინკუბატორები, ბიზნესამაჩქარებლები, ახალი ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, სამრეწველო ლაბორატორიები (ე.წ. FabLab) და ინოვაციების ლაბორატორიები (ILab). ამასთანავე, ინოვაციური ეკონომიკა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა სახელწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად. სამ ათეულ წელზე მეტია, საქართველო გარე თუ შიდა შოკებით გამოწვეულ კრიზისებში ცხოვრობს და ხელისუფლება, რომელიც მიმდინარე პრობლემების გადაჭრითაა დაკავებული, ვერ ახერხებს ისეთი სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისთვის სათანადო ყურადღების დათმობას, როგორიც ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაა.

მონოპოლია და ინოვაციური ეკონომიკა ერთმანეთის ანტიპოდებია. ინოვაციური ეკონომიკა არ ტოვებს ადგილს მონოპოლიების საბაზრო ძალაუფლებისთვის. ამიტომ მონოპოლიები, რომლებსაც, სამწუხაროდ, დიდი ძალა და გავლენა გააჩნიათ თანამედროვე საქართველოში, გააფთრებით ეწინააღმდეგებიან ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას.

სწორედ ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი დონე შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციების მიმართ საწარმოთა მხრიდან დაუინტერესებლობის მთავარ მიზეზად. სახელმწიფომ, პირველ რიგში, არა დეკლარაციულად, არამედ რეალურად უნდა დააყენოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ინოვაციური ეკონომიკის დაფუძნება და განვითარება. ამ ამოცანას უნდა დაუქვემდებაროს მის განკარგულებაში არსებული რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. მან უნდა განახორციელოს ინოვაციური საქმიანობის მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საინვესტიციო-სტრუქტურული პოლიტიკა, როგორც ეს გააკეთეს ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულმა ქვეყნებმა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური და ქმედითი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელება, რისი ნიშნებიც, ჯერ-ჯერობით, არ შეინიშნება. აუცილებელია სამთავრობო სტრუქტურების, კერძო ბიზნესის და მთელი საზოგადოების ძალისხმევის კონცენტრაცია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პრობლემის გადაწყვეტაზე. ყოველივე ამის გაკეთება სწრაფადაა საჭირო, ვინაიდან დრო, სამწუხაროდ, ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს.

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად თსუ-ში მუშაობა დაიწყო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, თსუ-სა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის 2021 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად სარედაქციო საბჭო და ტექსტოლოგიური კომისია შეიქმნა.

სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: **ზაალ აბაშიძე,** სსიპ — კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; **დავით სართანია,** თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, სწავლული მდივანი; **როინ მეტრეველი,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; **მზექალა შანიძე,** აკადემიკოსი; **დავით მუსხელიშვილი,** აკადემიკოსი; **დავით ლორთქიფანიძე,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი; **თეონა იაშვილი,** საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი; **ჯაბა სამუშია,** აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი; **ვახტანგ ლიჩელი,** თსუ არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი; **მალხაზ მაცაბერიძე,** თსუ პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი; **ზაზა სხირტლაძე,** თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი; **თეა შურღაია,** თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი; **მერაბ ჩუხუა,** თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ჩერქეზული კულტურის ცენტრის დირექტორი; **ნუგზარ ანთელავა,** ჩერქეზული კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე; **ლევან გორდეზიანი,** თსუ პროფესორი; **თეიმურაზ გვიმრაძე,** თსუ ასოცირებული პროფესორი; **გონელი არახამია,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეცნიერების განყოფილების გამგე; **ოთარ ჯანელიძე,** გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; **მაია გურაბანიძე,** თსუ მუზეუმის დირექტორი; **შალვა გლოველი,** კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნული ცენტრის სამეცნიერო-ანალიტიკური და საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი; **გიორგი ჭეიშვილი,** თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; **ვალერი ვაშაკიძე,** თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; **ნანა მაჭავარიანი,** თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; **ნანა ბოლაშვილი,** თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი; **გიორგი სანიკიძე,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი; **რამაზ აბესაძე,** თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი; **ლაშა ბრეგვაძე,** თსუ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი; **ირმა რატიანი,** თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად თსუ მუზეუმში შეიქმნა კრებულის ტექსტოლოგიური კომისია, კომისიის წევრები არიან: **დავით სართანია,** თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ისტორიის დოქტორი, ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანელი; **გია ჩხიკვიშვილი,** ისტორიის დოქტორი, ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანელის მოადგილე; **მაია ციცვიძე,**

გვ. 15

პრეზიდენტის ინიციატივები – გაცხადებული ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის ამსახველ გამოფენაზე

მაია ტორაძე

„მე არაერთხელ გამოვედი ინიციატივით, რომ (ალბათ, უფრო ვაკის პარკში) შეიქმნას, ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმით, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ერთიანი მემორიალი, რომელთა შორისაც იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი“, — აღნიშნა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 21 სექტემბერს ორბელიანების სასახლეში გამართულ შეხვედრაზე.

ამ დღეს XIX-XX საუკუნეების ცნობილი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის შრომების, ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის ამსახველი სამეცნიერო ლიტერატურის ციფრული ვერსიების გამოფენა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით და საქართველოს ფოსტის მხარდაჭერით გამოცემული ჩერქეზიშვილის 175 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის პრეზენტაცია გაიმართა.

გამოფენაზე მოწვეულნი იყვნენ ვარლამ ჩერქეზიშვილის მშობლიური მხარის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უმასპინძლა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა საგარეჯოელი მოსწავლეების სტუმრობა გამოფენაზე და რამდენიმე ინიციატივაც გაახმიანა. კერძოდ, მისი თქმით, კარგი იქნება თუ ვაკის პარკში გაიხსნება მემორიალი, რომელიც შემოინახავს იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი პოპულარიზაციისთვის დიდი შრომა გასწიეს პოლიტიკურ ემიგრაციაში. „ემიგრაცია არ დაწყებულა მხოლოდ 1921 წლის შემდეგ, ის ბევრად უფრო ადრე, რუსული იმპერიის დროს დაიწყო და ვარლამ ჩერქეზიშვილი იმ დროს უკვე იყო პოლიტიკურ ემიგრაციაში. ეს ადამიანები იქ ამზადებდნენ ჩვენი სახელმწიფოს საფუძვლებს, ჩვენს სახელმწიფო იდეოლოგიას, იბრძოდნენ იმთავითვე დამოუკიდებლობისთვის და იმისთვის, რომ ეს ქვეყანა სწორედ ევროპულ საწყისებზე შექმნილიყო. ვარლამ ჩერქეზიშვილი ანარქისტი იყო და, ამავდროულად, სხვებთან ერთად იბრძოდა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს მშენებლობისათვის. დღეს, როცა აქედან ვუყურებთ ისტორიის ამ ფურცლებს, ვრწმუნდებით, რომ თურმე შესაძლებელია ეროვნული თანხმობა შედგეს, თუნდაც იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ძალიან განსხვავებული წარმოდგენები და იდეოლოგია გააჩნიათ; შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს ირგვლივ და მისი შექმნის ირგვლივ შედგეს ის ეროვნული თანხმობა, რომელიც დღეს ესოდენ გვჭირდება. ვარლამ ჩერქეზიშვილი ამის კარგი მაგალითია. ამიტომ მე არაერთხელ გამოვედი ინიციატივით, რომ (ალბათ, უფრო ვაკის პარკში) შეიქმნას, ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმით, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ერთიანი მემორიალი, რომელთა შორისაც იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი“, — აღნიშნა პრეზიდენტმა. მან ასევე წამოაყენა წინადადება — სკოლაში დაიწყოს პოლიტიკური ემიგრაციის პერიოდისა და ემიგრანტების შესახებ საფუძვლიანი სწავლება.

გამოფენის გახსნისას სიტყვით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, მეცნიერი და მკვლევარი გოჩა ფერაძე და საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს და თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს ვარლამ ჩერქეზიშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემული საფოსტო მარკა უსახსოვრა.

პრეზიდენტის სასახლეში წარმოდგენილი იყო 1860-1925 წლებში ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა, მის მიერ უცხოეთში გამოქვეყნებული შრომების ფოტოილუსტრაცია.

ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა კვლავ გრძელდება. ის გასცდება დედაქალაქს და რეგიონებშიც გაიმართება.

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ?

ვარლამ ჩერქეზიშვილი — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იყო ჩართული რევოლუციურ მოძრაობაში. იგი რამდენჯერმე გადაასახლეს, 1876 წლიდან კი მოახერხა ევროპაში გაქცევა და იმავე წელს პირველი ინტერნაციონალის წევრი გახდა. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოციალისტური მოძრაობის ისტორიაში. ვარლამ ჩერქეზიშვილს ანგარიშს უწევდნენ მოძრაობის ლიდერები: კ, კაუცკი, კ. ლიბკნეხტი და სხვები. ის გახლდათ პოლიტიკოსი, რომელმაც, ქართველებიდან პირველმა, მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნეთა ყურადღება მიაპყრო რუსეთის მიერ 1783 წელს საქართველოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ ასპექტებს და ჰააგის 1907 წლის კონფერენციაზე ეს საკითხი მსჯელობის საგნად აქცია. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართველი სოციალ-ფედერალისტების მიერ დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დახმარებაში, იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

მეცნიერები წერენ, რომ თუ საქართველოში ეროვნული ძალების შემაკავშირებლის და წინამძღოლის ფუნქციას ილია ჭავჭავაძე ასრულებდა, იმ პერიოდის ევროპაში ჩვენს ქვეყანას ვარლამ ჩერქეზიშვილის სადარი გულშემატკივარი არ ჰყოლია.

1918 -1921 წლებში ვარლამ ჩერქეზიშვილი ჰოლანდიელ მეუღლესთან — ფრიდასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და თავი ინგლისისთვის შეეფარებინა, სადაც გარდაიცვალა 1925 წელს. მისი ფერფლი დაკარგულად ითვლებოდა და გარდაცვალებიდან 75 წლის შემდეგ მიაკვლია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა გოჩა ფერაძემ, რომლის ინიციატივითაც ბევრი საქმე გაკეთდა ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის უკვდავსაყოფად. დღეს მეცნიერი ცდილობს აღასრულოს ვარლამ ჩერქეზიშვილის უკანასკნელი სურვილი და მისი ნეშტი საქართველოს დაუბრუნდეს.

სწორედ გოჩა ფერაძემ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას გამოფენა, რომელშიც ნაჩვენები იყო ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სიახლე ფაკულტეტებზე

გვესაუბრება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

თამარ გაგოშიძე

ახალ სასწავლო წელს განახლებული აკადემიური პროგრამებით შევხვდით: აკრედიტაცია გაიარა ფსიქოლოგიის, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამებმა და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ. განახლებულია და აკრედიტაცია გაიარეს შრომისა და ორგანიზაციის სამაგისტრო ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამებმა. წელს ამ პროგრამებზე კონკურსი იყო. აკრედიტაცია გაიარა ახალმა სამაგისტრო პროგრამამ — „გავლენები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ და უკვე მიიღო მაგისტრანტები. მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე ძალიან ბევრი მსურველი გვყავს. მასწავლებელთა მომზადების 300 კრედიტიან პროგრამაში ახალი არჩევითი კურსები მომზადდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ინკლუზიური განათლების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ წელს ჩვენთან სწავლობს უსინათლო გოგონა, რომლისთვისაც სპეციალურად მუშაობს ორიენტაციის ტრენერი და ხელს უწყობს სასწავლო კორპუსში მისთვის გადაადგილების სწავლებას. ზოგადად, შშმ პირებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ თსუ-ის მესამე კორპუსი ძველი შენობაა და იმ პირებისთვის, ვისაც გადაადგილება აქვთ შეზღუდული, ფაქტობრივად, შეუძლებელია აქ სწავლა, თუმცა გარემო ადაპტირებული გვაქვს უსინათლო სტუდენტებისთვის, შემუშავებული და დანერგილია სწავლების შესაბამისი მეთოდიც, რაშიც ცენტრალური ადმინისტრაცია ძალიან გვეხმარება და ამისთვის მინდა მადლობა გადავუხადო. ინკლუზიური განათლების მიმართულებით ფაკულტეტზე „შშმ საკითხების კვლევის ცენტრი“ მუშაობს, რომელიც ერასმუს + პროექტის ფარგლებში, ინკლუზიური განათლების კუთხით, მასწავლებელთა გაძლიერებას ისახავს მიზნად. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში დავნერგეთ უსინათლო ადამიანებისთვის საჭირო სასწავლო ტექნოლოგიები.

სიახლეა ისიც, რომ განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი ამზადებს სრულიად ახალ სამაგისტრო პროგრამას პროფესიულ განათლებაში. სწავლება ინგლისურ ენაზე იქნება.

სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით აღვნიშნავ, რომ ფაკულტეტზე უკვე მესამე წელია გამოდის „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“, სადაც ჩვენი აკადემიური პერსონალი პერიოდულად აქვეყნებს ახალი კვლევების შედეგებს. ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად, ერასმუს+ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პროექტი „ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უსდ-ებში“, რომლის მიზანიცაა სასწავლო პროცესში სწავლა-სწავლების ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების აქტიური დანერგვა.

ასევე, ვგეგმავთ ჩვენი ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგ-ცენტრის გაძლიერებას. ფაკულტეტი მონაწილეობს ერასმუს+ პროექტში „ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრების შექმნა საქართველოს უსდ-ებში“. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ გვინდა, რომ გავიზიაროთ უცხოელი კოლეგების გამოცდილება

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კეთილდღეობის მხარდაჭერის საკითხებში.

მომავალი წლის გაზაფხულისთვის დასრულდება და აკრედიტაციაზე წარვადგენთ ადრეული განათლების სპეციალისტების მოსამზადებელ აკადემიურ საბაკალავრო პროგრამას. პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან UNICEF, სან დიეგოს უნივერსიტეტთან, ისრაელის გორდონის კოლეჯთან.

85 წელი მათემატიკის სამსახურში

ცნობილ ქართველ მეცნიერს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, თსუ-ის ემერიტუს პროფესორს, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირებისა და რიცხვითი მეთოდების მიმართულების ხელმძღვანელს თამაზ ვაშაყმაძეს 85 წელი შეუსრულდა.

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

სულ ცოტა ხნის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის და მათემატიკის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის თამაზ ვაშაყმაძე რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა. ცხადია, ერთი საგაზეთო მასალა ვერ დაიტევს მეცნიერის უზარმაზარ მემკვიდრეობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ის დღემდე აქტიური სამეცნიერო ცხოვრებით ცხოვრობს, მონაწილეობს კონფერენციებში, აქვეყნებს ნაშრომებს. ყოველი მისი ახალი მოხსენება და კვლევა კი მნიშვნელოვანი შენაძენია მათემატიკოსთა სამეცნიერო საზოგადოებისთვის. სულ ახლახან, აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარებულ ფორუმებზე თამაზ ვაშაყმაძემ ოთხი მოხსენება წარადგინა, მათგან ერთი — ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებულ სხდომაზე, ხოლო სამი — ბათუმში აგვისტოში ჩატარებულ საქართველოს მექანიკოსთა კავშირის და მათემატიკოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენციებზე აკად. ვ. მაკაროვთან ერთად.

„დღემდე ვსწავლობ და ვიზრდები. სხვისი კრიტიკა ჩემი საქმე არ არის, ყოველთვის ვფიქრობ — მე როგორ განვვითარდები და რა შემიძლია, რომ გავაკეთო ახალი. უნივერსიტეტში არცერთი დღე არ გამიცდენია და 10-ზე მეტი სილაბუსი მაქვს შექმნილი. მიყვარს ჩემი საქმე. ეს ჯილდო, ფაქტობრივად, არის იმის დადასტურება, თუ ვინ და როგორ ემსახურება ქართველ ხალხს და, შესაბამისად, უნივერსიტეტს. ჩემთვის ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობს. უნივერსიტეტი საქართველოსთვის არის კოლოსალური მნიშვნელობის, ხოლო ოქროს მედალი — აღიარება იმ პროფესორ-მასწავლებლებს შორის, ვინც აქ სტუდენტს ემსახურება. მე ჩემი თავი შეიძლება უღირსადაც მიმაჩნდეს, რადგან უნივერსიტეტის ოქროს მედალი ძალიან დიდი ჯილდოა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცალსახად არის ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლო საქართველოსთვის. ვცდილობ, ის მათემატიკის დარგში წარმოვაჩინო და ვაჩვენო, რომ თსუ-ს შეუძლია ყველა წამყვანი უნივერსიტეტის და ქვეყნის გვერდით დადგეს“, — გვითხრა თამაზ ვაშაყმაძემ საპატიო ჯილდოს გადაცემის შემდეგ.

აღსანიშნავი და საინტერესოა, რომ პროფესორი თამაზ ვაშაყმაძე 1968 წლიდან დღემდე თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. ამჟამად იგი რიცხვითი მეთოდებისა და მათემატიკური მოდელირების მიმართულების ხელმძღვანელი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია. პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო სრული პროფესორი, ამჟამად თსუ-ის ემერიტუსი და მიწვეული პროფესორია.

მისი კვლევებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი კანონზომიერების მიგნება:

1. უწყვეტი გარემოს უნივერსალობის შესახებ: რაიმე ძალას ან მოვლენას, დამზერილს ან აღმოჩენილს რომელიმე სეპარატულ ნივთიერებაში აქვს უნივერსალური ხასიათი — იგი საერთოა უწყვეტი გარემოს ნებისმიერი ფორმისათვის;

2. დაზუსტებულ იქნა დარსი-პასკალის კანონი იმ აზრით, რომ იგი არ არის სამართლიანი ფორო-დრეკადი გარემოსათვის, რადგან ხორციელდება მათემატიკური მოდელის ტიპის გადაგვარება. ჩვენ მიერ შემოტანილი ახალი ფაზიკური მახასიათებელი აზუსტებს დარსი-პასკალის კანონს.

მისი ინტერესების სფეროა გამოთვლითი მათემატიკა, მყარი დეფორმადი სხეულის მექანიკა, მათემატიკური მოდელირება, ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები; მათემატიკური მოდელირება; კალკულუსი, კომპიუტერული მეცნიერებანი, ინფორმატიკა და სხვ.

განსაკუთრებით ფასეულია ქართველი მათემატიკოსის მონაწილეობა თურქ და ამერიკელ მეცნიერებთან ერთად თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცების დარგში. ამ ხაზით მათ ერთობლივად შექმნეს და წარადგინეს პროექტი: „უპილოტო თვითმფრინავებისთვის ფრთის გათვლის თეორია და პრაქტიკა“, რომელიც ნატოს სპეციალისტთა მიერ შეფასდა, როგორც ძალზე ორიგინალური, მაღალი დონის სამეცნიერო-სიანჟინრო პერსპექტიული მიმართულება.

თამაზ ვაშაყმაძე არის 15-ზე მეტი დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი და მეცნიერ-კონსულტანტი. ხუთ წელზე მეტია, თსუ-ის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, ხელმძღვანელობს და უანგაროდ ემსახურება მოსწავლეთა სკოლას „ნაბიჯ-ნაბიჯ ცოდნისაკენ“, სადაც მომზადდა და პრაქტიკა გაიარა 400-მდე ქართველმა და უცხოელმა ახალგაზრდამ მათემატიკასა და მომიჯნავე დარგებში.

იგი გახლავთ 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, მათ შორის, 10-მდე მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მონაწილეობდა 180-ზე მეტი საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო ფორუმის მუშაობაში, წაკითხული აქვს 130-ზე მეტი სექციური და 30-ზე მეტი პლენარული მოხსენება. იყო ორ ათეულზე მეტი საერთაშორისო კონფერენციის და კონგრესის ორგკომიტეტის წევრი, არის ოთხი ჟურნალის, მათ შორის, „Journal of Applied Functional Analysis“ (აშშ, მემფისი) რედკოლეგიის წევრი, იყო 1998-2003 წწ. თსუ-ის შრომების სერიით „გამოყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებანი“ მთავარი რედაქტორი. გახლავთ რიგი სამეცნიერო (მათ შორის, თსუ დიდი საბჭოს) და სადისერტაციო საბჭოების წევრი.

თამაზ ვაშაყმაძე დაჯილდოებულია პრეზიდენტის ბრწყინვალებისა და ღირსების ორდენებით, ივანე ჯავახიშვილისა (1977, 2009) და თსუ-ის მედლებით; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაცემული ილია ვეკუას პრემიით; თურქეთის მათემატიკოსთა საზოგადოების საერთაშორისო პრემიით უცხოელი მათემატიკოსებისათვის: „მთელი ცხოვრება მათემატიკის სამსახურში“.

85 წლის მეცნიერი დღემდე აგრძელებს აქტიურ კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას, რაც წინაპირობაა იმისა, რომ შეესაძლოა სულ მალე ახალი და მეტად მნიშვნელოვანი კვლევებით, მიგნებებითა თუ დასკვნებით წარსდგეს სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად თსუ-ში მუშაობა დაიწყო

მე-13 გვ-დან

თსუ დოქტორანტი, ისტორიკოს-კავკასიოლოგი, ტექსტოლოგიური კომისიის მდივანი; **მიხეილ ქართველიშვილი,** ისტორიის დოქტორი; **დალი ნიკოლაიშვილი,** გეოგრაფიის დოქტორი, თსუ პროფესორი; **ავთანდილ უჯმაჯურიძე,** ისტორიკოსი.

გვესაუბრება თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ისტორიის დოქტორი, ტექსტოლოგიური კომისიის ხელმძღვანელი **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲠᲗᲘᲐᲜᲘᲐ**

— ივანე ჯავახიშვილის თხზულებების სრული აკადემიური გამოცემა ჯერ არ არსებობს. მის სიცოცხლეში რომ ტომეულებად შეკრებილიყო ნაშრომები, დღის წესრიგში არც დამდგარა. მისი გარდაცვლების შემდეგ კი ყველაზე დიდი ღვაწლი ივანე ჯავახიშვილის შრომებს აკადემიკოსმა სიმონ ყაუჩიშვილმა დასდო. მან ორჯერ გამოსცა ქართველი ერის ისტორია: ერთხელ ოთხ ტომად, ხოლო მეორედ ხუთ ტომად. ამ გამოცემის მეხუთე ტომი აკრძალულიც კი იყო.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისთვის, დაანონსდა 12-ტომეულის გამოცემა, რომლის ბოლო ტომი 90-იანებში გამოვიდა. საგულისხმოა, რომ ეს 12-ტომეული ბევრი ხარვეზით დაიბეჭდა, მაგალითად, მე-9 და მე-11 ტომებში ერთი და იგივე ნაშრომებია დაბეჭდილი, ხოლო დედანთან, სამწუხაროდ, არ არის შედარებული, რაც ქმნის აცდენებს. ჯერ-ჯერობით ზუსტი პასუხი კითხვაზე, თუ რამდენი ტომის გამოცემა იგეგმება — ნაადრევია. რატომ? ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ — დაახლოებით რა მოცულობისაა მისი სამეცნიერო ნაშრომები, მაგრამ, სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორი იყო. უფრო ზუსტად, დაარსებამდეც და დაარსების შემდეგაც ფაქტობრივად მის ზურგზე გადადიოდა საუნივერსიტეტო საქმიანობის მთელი სიმძიმე. მაშინდელი ყველა ოფიციალური დოკუმენტი მისი ხელითაა შედგენილი და დაწერილი. ამ დოკუმენტებზეა დასმული უნივერსიტეტის ბეჭედი და ცხადია – რექტორის და საბჭოს მდივნის ხელმოწერაც. მას ჯოჯოხეთური საქმე აქვს შესრულებული.

ივანე ჯავახიშვილის სრული აკადემიური გამოცემისათვის შექმნილი სარედაქციო საბჭო არის მთავარი ორგანო და უფლებამოსილია უნივერსიტეტის რექტორთან ერთად გადაწყვიტოს კონკრეტული საკითხები. ჩემი წინადადება არის, რომ ამ ტომეულებში შევიდეს ყველაფერი, რაც კი დიდ მეცნიერს დაუწერია და შეუქმნია და გამოიცეს. ამასთან, ჩვენი მიდგომა უნდა იყოს ასეთი — გამოიცეს ნაშრომების ყველა ვერსია. რას ვგულისხმობ ამაში? „ქართველი ერის ისტორია“ ივანე ჯავახიშვილმა სამჯერ დაწერა. თავადვე ამბობს, მე 1915 წლამდე ნიკო მარის თეორიას მივყვებოდი, შემდეგ ხელახლა დავიწყე მუშაობა, თავიდან გადავიკითხე ნიკო მარის შრომები და მივხვდი, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ადრე მეჩვენებოდა. შესაბამისად, ჩვენ მკითხველამდე უნდა მივიტანოთ მი-



სი ნაშრომების ყველა ვერსია. ხანგრძლივი პროცესია და დეტალურ კვლევას და მუშაობას საჭიროებს.

სირთულე რა არის? ამ დიდ კაცს დიდი განათლებაც ჰქონდა და ამას ეფუძნებოდა ყველაფერი ის, რაც დღეს მის მემკვიდრეობას შეადგენს. ბრწყინვალედ იცოდა მკვდარი ენები (მაგ. ძველი ბერძნული, ძველი სომხური, სირიული, ლათინური, სპარსული) და ამ ენებზე შექმნილი წყაროებიდან მოჰყავდა თავის შრომებში ცნობები. გარდა ამისა, ევროპულ ენებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი იყენებდა ქართველური და კავკასიური ენების მონაცემებს. ამიტომ საჭიროა ენების სპეციალისტების მოწვევა, ყველაფრის დამუშავება და ანალიზი. ეს ქმნის გარკვეულ სირთულეებს, რადგან დრო ძალიან ცოტაა.

ივანე ჯავახიშვილი 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. დარჩა უამრავი გამოუქვეყნებელი ნაშრომი ან წყაროებიდან ამოწერილი მასალები. მათ ახლავს კომენტარი, რომელსაც დღეს დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. ესეც უნდა გამოიცეს. ამ ყველაფერს დიდი დრო სჭირდება. სულ 6-7 ადამიანი ვართ, ვისზეც ამ შრომამ უნდა გადაიაროს, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ამისთვის და საკმაოდ დიდ პასუხიმგებლობასაც ვგრძნობთ. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ — რექტორმა და კანცლერმა დაგვიჭირეს მხარი და ეს დიდი საქმე, რომელზეც 2006 წლიდან ვსაუბრობდი, დაიძრა. აქვე უნდა აღინიშნოს ბატონ ზაზა აბაშიძის (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) დიდი მონდომებაც, რომლის გარეშე ეს საქმე ვერ გაკეთდება.

ჩვენი საქმიანობა ორ ეტაპად განხორციელდება. პირველი ეტაპი — სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა — უნდა დასრულდეს ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავზე, 2026 წლის 23 აპრილისთვის. შემდეგ კი უნივერსიტეტის დაარსებიდან 110 წლის იუბილეზე ვგეგმავთ მოხსენებების, გამოუქვეყნებელი ნაშრომების, პირადი წერილების, საზოგადოებრივი მოღვაწეობის, მათ შორის, უნივერსიტეტის შესახებ არსებული სხვა საინტერესო დოკუმენტების გამოცემას. სამუშაოები უკვე დაწყებულია.

Tsu.media

გაზეთის ინტერნეტ-ვერსია/ახალი ვებგვერდი/ახალი პლატფორმა თქვენთვის!
აქ იხილავთ ყოველდღიურ ახალ ამბებს უნივერსიტეტიდან...

ეს თსუ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტია“!

თვეში ერთხელ გაზეთი ბეჭდური სახით გამოიცემა - თქვენი თხოვნის თანახმად, ჩვენ შევინარჩუნეთ გაზეთის ბეჭდური ვერსიაც...



ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐ 356 000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ 6 ᲗᲕᲔᲨᲘ 6 ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ.

„ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ“ ᲬᲘ�გᲜᲐᲓ -

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲗ
ᲗᲡᲣ ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲒᲐᲜ!



ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲘᲡᲘᲘᲗ - ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲔᲪᲘ ტრᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔ ᲓᲠᲝᲡ!

ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ეკა ბედიაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
თორნიკე ჩხეტიანი
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
მიხეილ თვარაძე

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔ�გᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი,
მარინა სალუქვაძე

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
tsu.media

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
nino.kakulia@tsu.ge

2017 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲣᲜᲘ-ᲕᲔᲠᲡᲘᲐ“ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ (ᲗᲡᲣ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚ-ᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲝ-ᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ).